პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 31-ე წელი

ოთხშაბათი, 9 მაისი, 1951 წ. № 107 (8961). ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს საბჭოთა ხალხი დიდი აღფრთოვანებით და სიამაყის გრძნობით აღნიშნავს გამარჯვების დღეს.

ექვსი წლის წინათ, 1945 წლის 9 მაისს, ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი სტალინის ბრძნული წინამძღოლობით საბჭოთა ხალხმა და მისმა შეიარაღებულმა ძალებმა ისტორიული გამარჯვება მოიპოვეს გერმანელ იმპერიალისტებზე, დაიცვეს ჩვენი სოციალისტური სამშობლო და ფაშისტური მონობისაგან იხსნეს ევროპის ხალხები.

გაუმარჯოს საბჭოთა ხალხსა და მის გმირ არმიას!

დიდება ხალხთა ბრძენ ბელადსა და მასწავლებელს დიდ სტალინს!

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

სსრ კავშირის სამხედრო მინისტრისა

1951 წლის 9 მაისი — № 64 — ქალაქი მოსკოვი

ამხანაგო ჯარისკაცებო და სერჟანტებო!

ამხანაგო ოფიცრებო და გენერლებო!

ექვსი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ძლევამოსილად დამთავრდა დიდი სამამულო ომი გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ. საბჭოთა ხალხმა და მისმა შეიარაღებულმა ძალებმა, კომუნისტური პარტიის, ჩვენი ბრძენი ბელადისა და დიდი მხედართმთავრის ამხანაგ **სტალინის** ხელმძღვანელობით, ამ ომში მოიპოვეს ისტორიული გამარჯვება მტერზე, დაიცვეს ჩვენი სოციალისტური სამშობლოს დამოუკიდებლობა და ევროპის ხალხები იხსნეს ფაშისტური მონობისაგან.

მოგესალმებით და გილოცავთ გერმანიის იმპერიალიზმზე სახელოვანი გამარჯვების მეექვსე წლისთავს.

გამარჯვების დღის აღსანიშნავად **ვბრძანებ:**

დღეს, 9 მაისს, ოცდაათი საარტილერიო ზალპით მიცემულ იქნას სალუტი ჩვენი სამშობლოს დედაქალაქში — მოსკოვში, მოკავშირე რესპუბლიკათა დედაქალაქებში, აგრეთვე კალინინგრადში, ლვოვში და გმირ ქალაქებში: ლენინგრადში, სტალინგრადში, სევასტოპოლსა და ოდესაში.

გაუმარჯოს საბჭოთა ხალხსა და მის გმირ არმიას!

გაუმარჯოს ჩვენს მშობლიურ საბჭოთა მთავრობას!

გაუმარჯოს ლენინ-სტალინის დიად პარტიას—ჩვენი გამარჯვებების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს!

დიდება ჩვენს საყვარელ ბელადსა და მხედართმთავარს, საბჭოთა კავშირის გენერალისიმუს ამხანაგ **სტალინს!**

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში!

სსრ კავშირის სამხედრო მინისტრი საბჭოთა კავშირის მარშალი ვასილევსკი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო მინისტრისა

1951 წლის 9 მაისი — № 36 — ქალაქი მოსკოვი

ამხანაგო მატროსებო და ჯარისკაცებო, ზემდეგებო და სერჟანტებო!

ამხანაგო ოფიცრებო, ადმირალებო და გენერლებო!

დღეს ჩვენი სამშობლო აღნიშნავს დიდი სამამულო ომის ძლევამოსილად დამთავრების მეექვსე წლისთავს. გმირმა საბჭოთა ხალხმა და მისმა შეიარაღებულმა ძალებმა, რომელთაც ხელმძღვანელობენ კომუნისტური პარტია, დიდი ბელადი და გენიალური მხედართმთავარი ამხანაგი **სტალინი**, მსოფლიო-ისტორიული გამარჯვება მოიპოვეს გერმანიის იმპერიალიზმზე, დაიცვეს ჩვენი საბჭოთა სამშობლოს ღირსება, თავისუფლება და დამოუკიდებლობა და ევროპის ხალხები იხსნეს ფაშისტური მონობისაგან.

მოგესალმებით და გილოცავთ ფაშისტურ გერმანიაზე სახელოვანი გამარჯვების მეექვსე წლისთავს.

გაუმარჯოს გმირ საბჭოთა ხალხს და მის მამაც სამხედრო-საზღვაო ფლოტს!

გაუმარჯოს ჩვენს საბჭოთა მთავრობას!

გაუმარჯოს ლენინ-სტალინის დიად პარტიას — ბრძოლებში ნაწრთობ ავანგარდს საბჭოთა ხალხისას!

გაუმარჯოს ჩვენს გენიალურ ბელადს, მასწავლებელსა და მხედართმთავარს საბჭოთა კავშირის გენერალისიმუს ამხანაგ **სტალინს!**

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში!

სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო მინისტრი ადმირალი იუმაშევი

საბჭოთა ხალხის დიადი გამარჯვების დღე

დღეს საბჭოთა ხალხი, მთელი პროგრესული კაცობრიობა უდიდესი პატრიოტული სიამაყის გრძნობით აღნიშნავენ ფაშისტურ გერმანიაზე საბჭოთა ხალხის ბრწყინვალე გამარჯვების მეექვსე წლისთავს. ექვსი წლის წინათ, 1945 წლის 9 მაისს ძლევამოსილმა საბჭოთა არმიამ გენიალური მხედართმთავრის დიდი სტალინის წინამძღოლობით საბოლოოდ გაანადგურა ჰიტლერული გერმანიის შეიარაღებული ძალები, გამარჯვების დროშა აღმართა ბერლინში და ამით სასახელოდ დაიცვა არა მარტო სოციალიზმის ქვეყნის ღირსება, თავისუფლება და დამოუკიდებლობა, არამედ ფაშისტური უღლისაგან იხსნა, მონობასა და ფიზიკურ განადგურებას გადაარჩინა აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის მთელი რიგი ქვეყნები. ეს იყო საბჭოთა ხალხის მიერ ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით მოპოვებული მსოფლიო-ისტორიული გამარჯვება, სოციალიზმის ქვეყნის ტრიუმფი, სოციალისტური სისტემის ზეიმი.

1946 წლის 9 თებერვალს წარმოთქმულ თავის ისტორიულ სიტყვაში ამხანაგი სტალინი ამბობდა:

„ჩვენი გამარჯვება ნიშნავს, უწინარეს ყოვლისა, რომ გაიმარჯვა ჩვენმა საბჭოთა **საზოგადოებრივმა** წყობილებამ, რომ საბჭოთა საზოგადოებრივმა წყობილებამ წარმატებით გაუძლო ომის ცეცხლში გამოცდას და დაამტკიცა თავისი სრული სიცოცხლისუნარიანობა...

ჩვენი გამარჯვება ნიშნავს, რომ გაიმარჯვა ჩვენმა საბჭოთა **სახელმწიფოებრივმა** წყობილებამ, რომ ჩვენმა მრავალეროვანმა საბჭოთა სახელმწიფომ გაუძლო ომის ყველა განსაცდელს და დაამტკიცა თავისი სიცოცხლისუნარიანობა...

ჩვენი გამარჯვება ნიშნავს იმას, რომ გაიმარჯვეს საბჭოთა შეიარაღებულმა ძალებმა, გაიმარჯვა ჩვენმა წითელმა არმიამ, რომ წითელმა არმიამ გმირულად გადაიტანა ომის ყველა გაჭირვება, სასტიკად დაამარცხა ჩვენი მტრების არმიები და გამარჯვებული გამოვიდა ომიდან."

დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის მსოფლიო-ისტორიული გამარჯვება უზრუნველყო ომამდელ სტალინურ ხუთწლედებში ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის განხორციელებამ. ჩვენი მრეწველობა, ჩვენი სოფლის მეურნეობა გმირ საბჭოთა არმიას ომის წლებში შეუფერხებლად ამარაგებდა ყოველივე იმით, რაც აუცილებელი იყო ვერაგ მტერზე გამარჯვებისათვის.

საბჭოთა ხალხის მსოფლიო-ისტორიული გამარჯვება უზრუნველყო ლენინ-სტალინის პარტიის ბრძნულმა ნაციონალურმა პოლიტიკამ, მრავალეროვანი საბჭოთა კავშირის ხალხთა მორალურ-პოლიტიკურმა ერთიანობამ, ლენინ-სტალინის პარტიის უძლეველი დროშის ირგვლივ საბჭოთა ხალხის მჭიდროდ დარაზმულობამ.

საბჭოთა ხალხის მსოფლიო-ისტორიული გამარჯვება უზრუნველყო ჩვენმა გმირმა არმიამ, რომელსაც გამარჯვების რწმენით აღფრთოვანებდა თავისი სოციალისტური სამშობლოს სიყვარული, წინ მიუძღოდა გენიალური მხედართმთავარი დიდი სტალინი.

საბჭოთა ხალხის მსოფლიო-ისტორიულმა გამარჯვებამ უზრუნველყო აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების განთავისუფლება იმპერიალისტთა უღლისაგან. სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ხალხები მტკიცედ დაადგნენ სოციალიზმის მშენებლობის გზას და მიდიან წინ ნათელი მომავლისაკენ.

საბჭოთა ხალხის მსოფლიო-ისტორიულმა გამარჯვებამ თავისუფლება მოუტანა აღმოსავლეთ გერმანიის ხალხს, უდიდესი გავლენა მოახდინა დიდი ჩინელი ხალხის იმპერიალისტური მონობისაგან განთავისუფლებაზე.

საბოლოოდ ჩაიშალა ამერიკელი და ინგლისელი იმპერიალისტების ვარაუდი, რომ სოციალიზმის ქვეყანა — დიდი საბჭოთა კავშირი თავს ვერ გაართმევდა ომისშემდგომ სიძნელეებს, კაპიტალისტური ქვეყნების დაუხმარებლად ვერ შეძლებდა თავისი მეურნეობის აღდგენას.

საბჭოთა ხალხმა საკუთარი ძალებით უმოკლეს დროში არა მარტო აღადგინა ომით დაზარალებული სახალხო მეურნეობა, არამედ შემდგომ წინ წასწია იგი. ჩვენმა ქვეყანამ სასახელოდ განახორციელა ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედი, რასაც საუკეთესოდ ადასტურებს ამას წინათ გამოქვეყნებული ცნობა ხუთწლიანი გეგმის შესრულების შედეგების შესახებ. საბჭოთა კავშირის მრეწველობამ ხუთწლედის უკანასკნელ წელს ომამდელ 1940 წელთან შედარებით გამოუშვა 73 პროცენტით მეტი სამრეწველო პროდუქცია, 376 მილიონი ფუთით გაადიდა ხორბლის მოსავალი, ააგო და აღადგინა ექვსი ათასზე მეტი მსხვილი სამრეწველო საწარმო, ას მილიონ კვადრატულ მეტრზე მეტი საცხოვრებელი ფართობი ქალაქებსა და მუშათა დაბებში, 2.700 ათასი საცხოვრებელი სახლი სოფლად, 64 პროცენტით გაზარდა ნაციონალური შემოსავალი.

ყველა ამ წარმატებამ უზრუნველყო საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობის განუხრელი აღმავლობა. იმ დროს, როდესაც კაპიტალისტურ ქვეყნებში, პირველ რიგში ამერიკის შეერთებულ შტატებში, ინგლისსა და საფრანგეთში დღითიდღე სულ უფრო აუტანელი ხდება მშრომელთა საარსებო პირობები, იმატებს სასურსათო და სამრეწველო საქონლის ფასები, იზრდება უმუშევართა არმია, ჩვენს ქვეყანაში უახლოესი სამნახევარი წლის განმავლობაში ფასების ოთხჯერადმა შემცირებამ მკვეთრად აამაღლა ხალხის მატერიალური და კულტურული კეთილდღეობა.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ კიდევ უფრო გამწვავდა კაპიტალიზმის საერთო კრიზისი. სოციალიზმის ქვეყნისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების უდიდესი წარმატებებით, დიდი ჩინელი ხალხის განთავისუფლებით, კოლონიურ და ნახევრადკოლონიურ ქვეყნებში სახალხო-განმათავისუფლებელი მოძრაობის აზვირთებით გაბოროტებული ამერიკელ-ინგლისელი იმპერიალისტები და მათი სატელიტები კრიზისიდან გამოსავალს მესამე მსოფლიო ომის გაჩაღებაში ხედავენ. ისინი გამალებით ემზადებიან ახალი ხოცვა-ჟლეტისათვის, თავიანთი სახელმწიფო ბიუჯეტების ოთხმოც-ოთხმოცდაათ პროცენტს ახმარენ ომისათვის მზადებას.

ამერიკელი იმპერიალისტები შარშან 25 ივნისს ვერაგულად დაესხნენ თავს კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკას და მას შემდეგ ყაჩაღურ ომს ეწევიან გმირი კორეელი ხალხის წინააღმდეგ. ინგლისის ლეიბორისტული მთავრობა, რომელიც თავის თავს „სოციალისტურს" უწოდებს, ანადგურებს მალაელ თავისუფლებისმოყვარე ხალხს. ფრანგი იმპერიალისტები ომობენ ვიეტნამის სახალხო რესპუბლიკის წინააღმდეგ. იმპერიალისტთა ამ ვერაგულ მოქმედებას მხარს უჭერს და იწონებს გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, რომელიც პირნათლად ასრულებს ამერიკელი მილიარდერების მსახურის როლს. ორ თვეზე მეტია პარიზში მიმდინარეობს ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების მოადგილეთა თათბირი, რომელმაც დღის წესრიგი უნდა შეიმუშაოს ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების მომავალი თათბირისათვის. ამერიკის, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობები ყოველმხრივ აფერხებენ შეთანხმების მიღწევას. მათ სურთ ეს თათბირი მასების მოსატყუებლად გამოიყენონ. მაგრამ ამაოა იმპერიალისტების ყოველგვარი ცდა შეცდომაში შეიყვანონ ხალხები და თავს მოახვიონ მათ ახალი გამანადგურებელი ომი. ერთი მუჭა იმპერიალისტების ამ ვერაგულ მოქმედებას უპირისპირდება მშვიდობის მძლავრი ფრონტი, რომელსაც უძლეველი საბჭოთა კავშირი მეთაურობს. მშვიდობის მსოფლიო საბჭომ, რომელიც მშვიდობის მომხრეთა ვარშავის მეორე მსოფლიო კონგრესზე შეიქმნა, ფართო კამპანია გააჩაღა ხუთ დიდ სახელმწიფოს — საბჭოთა კავშირს, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას, ამერიკის შეერთებულ შტატებს, ინგლისსა და საფრანგეთს შორის მშვიდობის პაქტის დადების სასარგებლოდ. ათეულ და ასეულ მილიონობით მშრომელი აქტიურად უჭერს მხარს მშვიდობის საბჭოს ამ მიმართვას, მთელი მსოფლიოს მშრომელები შეძლებენ ალაგმონ იმპერიალისტები, დაიცვან მშვიდობა.

საბჭოთა ხალხი, რომელმაც სასახელოდ დაამთავრა ომისშემდგომი ხუთწლედი, ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი სტალინის წინამძღოლობით მშვიდობიან შემოქმედებით შრომაშია ჩაბმული. იგი მტკიცედ მიდის წინ კომუნიზმისაკენ და ამავე დროს, თავის უძლეველობაში მტკიცედ დარწმუნებული, ფხიზლად დგას თავისი სოციალისტური სამშობლოს სადარაჯოზე.

იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1951 წლის სახელმწიფო გეგმის I კვარტალის დავალების შესრულების შედეგების შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობა

მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარება და საქონელბრუნვის გაშლა 1951 წლის I კვარტალში ხასიათდება შემდეგი მონაცემებით:

I.

წარმოების გეგმის შესრულება მრეწველობაში

საერთო პროდუქციის წარმოების კვარტალური გეგმა საერთოდ მრეწველობაში შესრულებულია 100,2 პროცენტით. ცალკეულმა სამინისტროებმა მრეწველობის საერთო პროდუქციის წარმოების გეგმა შეასრულეს შემდეგნაირად:

	1951 წლის I კვარტალის კვარტალური გეგმის შესრულების პროცენტი
შავი მეტალურგიის სამინისტრო	99
ფერადი მეტალურგიის სამინისტრო	98
ქვანახშირის მრეწველობის სამინისტრო	100,4
ნავთის მრეწველობის სამინისტრო	99
ელექტროსადგურების სამინისტრო	103
ქიმიური მრეწველობის სამინისტრო	103
ელექტრომრეწველობის სამინისტრო	102
კავშირგაბმულობის საშუალებათა მრეწველობის სამინისტრო	102
მძიმე მანქანათმშენებლობის სამინისტრო	99,7
საავტომობილო და სატრაქტორო მრეწველობის სამინისტრო	103
დაზგათმშენებლობის სამინისტრო	101
მანქანათმშენებლობისა და ხელსაწყოთმშენებლობის სამინისტრო	100
სამშენებლო და საგზაო მანქანათმშენებლობის სამინისტრო	103
სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის სამინისტრო	103
სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტრო	103
სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრო	99
სსრ კავშირის სატყეო მრეწველობის სამინისტრო	89
ქაღალდისა და ხის გადამმუშავებელი მრეწველობის სამინისტრო	100
სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო	101
სსრ კავშირის თევზის მრეწველობის სამინისტრო	108
სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრო	98
სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტრო	102
სსრ კავშირის მებამბეობის სამინისტრო	97
გზათა სამინისტროს სამრეწველო საწარმოები	95
სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სამრეწველო საწარმოები	104
სსრ კავშირის კინემატოგრაფიის სამინისტროს სამრეწველო საწარმოები	105
მოკავშირე რესპუბლიკათა ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროები და ადგილობრივი სათბობის მრეწველობის სამინისტროები	101
სარეწაო კოოპერაცია	102

სსრ კავშირის მთელი მრეწველობის საერთო პროდუქცია 1951 წლის I კვარტალში 1950 წლის I კვარტალთან შედარებით 18 პროცენტით გადიდდა.

II.

სოფლის მეურნეობა

საბჭოთა მეურნეობები, მანქანა-ტრაქტორთა სადგურები და კოლმეურნეობები მიმდინარე წელს მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოებს შეუდგნენ ტექნიკით უფრო აღჭურვილნი, ვიდრე 1950 წელს.

გაზაფხულზე დაიფარცხა და დამატებითი სასუქი მიეცა გაცილებით მეტ საშემოდგომო ნათესს, ვიდრე შარშან. ჩვენი ქვეყნის სამხრეთ რაიონებში წარმატებით დამთავრდა თავთავიანი კულტურების თესვა. საგაზაფხულო კულტურების თესვა გაჩაღდა შუა ზოლის რაიონებში. საგაზაფხულო თესვა წელს უფრო მოკლე ვადებში სრულდება: 1951 წლის 5 მაისისათვის დათესილია ხუთნახევარი მილიონი ჰექტარით მეტი საგაზაფხულო კულტურები, ვიდრე 1950 წლის იმავე თარიღისათვის.

სსრ კავშირის ევროპული ნაწილის ველიანი და ტყეველიანი რაიონების კოლმეურნეობებმა, სატყეო მეურნეობებმა, ტყესაცავმა სადგურებმა და საბჭოთა მეურნეობებმა 1951 წლის 1 მაისისათვის დარგვისა და თესვის წესით გააშენეს 700 ათასი ჰექტარი საცავი ტყე, ანუ 55 ათასი ჰექტარით მეტი, ვიდრე გასული წლის 1 მაისისათვის.

III.

საქონელბრუნვის გაშლა

1951 წლის I კვარტალში გრძელდებოდა საბჭოთა ვაჭრობის შემდგომი გაშლა. **სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის ხაზით**, შესადარ ფასებში, მოსახლეობას მიეყიდა 22 პროცენტით მეტი საქონელი, ვიდრე 1950 წლის I კვარტალში. ამასთან სასურსათო საქონლის გაყიდვა გადიდდა 19 პროცენტით და სამრეწველო საქონლის გაყიდვა—25 პროცენტით.

საბჭოთა მთავრობისა და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით 1951 წლის 1 მარტიდან განხორციელებულმა მასობრივი მოხმარების სასურსათო და სამრეწველო საქონლის სახელმწიფო საცალო ფასების ახალმა — სათვალსაჩინო მეოთხე—შემცირებამ გამოიწვია საქონლის გაყიდვის მნიშვნელოვნად გადიდება სახელმწიფო და კოოპერაციულ ვაჭრობაში.

1951 წლის მარტში საქონლის ყოველდღიური გაყიდვა 1951 წლის თებერვალთან შედარებით, შესადარ ფასებში, საშუალოდ 19 პროცენტით გადიდდა. ამასთან ძეხვეულის გაყიდვა გადიდდა 20 პროცენტით, თევზპროდუქტებისა—15 პროცენტით, ერბო-კარაქისა—27 პროცენტით, რძისა და რძის პროდუქტებისა — 33 პროცენტით, კვერცხისა—75 პროცენტით, ბამბის ქსოვილებისა — 31 პროცენტით, შალის ქსოვილებისა—17 პროცენტით, შეკერილი ნაწარმისა —34 პროცენტით, ტყავის ფეხსაცმლისა — 81 პროცენტით, რეზინის ფეხსაცმლისა — 36 პროცენტით, ხელის საპნისა — 50 პროცენტით. შუშის, ფაიფურის და ქაშანურის ჭურჭლისა, ავეჯის და რადიომიმღებებისა — ერთნახევარჯერ და მეტად, ჯიბის და მაჯის საათებისა — თითქმის ერთიორად, ველოსიპედების და მოტოციკლებისა — ერთიხუთად და მეტად.

მასობრივი მოხმარების საქონლის სახელმწიფო და საცალო ფასების შემცირებასთან დაკავშირებით 1951 წლის მარტში საკოლმეურნეო ბაზრებზეც შემცირდა ფასები 1951 წლის თებერვალთან შედარებით.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო

საბჭოთა ხალხის მსოფლიო-ისტორიული გამარჯვება

ექვსი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც საბჭოთა ხალხმა და მისმა შეიარაღებულმა ძალებმა დაამთავრეს ფაშისტური გერმანიის განადგურება. ეს გამარჯვება მსოფლიო ისტორიაში შევიდა როგორც მთელი მოწინავე კაცობრიობის დაუვიწყარი დღესასწაული. მიუხედავად იმისა, რომ წარსული ომის ამბების შემდეგ სულ უფრო მეტი ხანი გადის, დიდი გმირობა, რაც ჩვენმა ხალხმა და საბჭოთა არმიამ გამოიჩინეს, არასოდეს არ წარიხოცება თაობათა ხსოვნაში. უფრო მეტიც, 1945 წლის 9 მაისის ღირსშესანიშნავი დღის შემდეგ სულ უფრო ბრწყინვალედ და უფრო დიდებულად მოჩანს მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა ჩვენი გამარჯვებისა ჰიტლერელ დამპყრობლებზე. ამ გამარჯვებამ წინასწარ განსაზღვრა იმპერიალისტური იაპონიის განადგურებაც, რომელშიც გადამწყვეტი როლი შეასრულეს საბჭოთა კავშირის შეიარაღებულმა ძალებმა.

სსრ კავშირის ხალხებმა და გმირმა საბჭოთა არმიამ ხანგრძლივ ბრძოლაში დაიცვეს თავიანთი სამშობლოს დამოუკიდებლობა, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მონაპოვარნი, განამტკიცეს თავიანთი საზღვრების უშიშროება, ფაშისტური მონობიდან გაათავისუფლეს ევროპის ხალხები.

ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ საბჭოთა კავშირის ომი თითქმის ოთხ წელიწადს გაგრძელდა. ეს ყველაზე ძნელი და სასტიკი ომი იყო იმ ომებიდან, რომლებიც ჩვენს სამშობლოს ოდესმე ჰქონია. ფაშისტმა აგრესორებმა, რომლებსაც ეხმარებოდნენ და აქეზებდნენ ამერიკელი და ინგლისელი იმპერიალისტები, უმაგალითო ძალის დარტყმა დაატეხეს თავს სოციალიზმის ქვეყანას. მსოფლიოში ვერავითარი სხვა სახელმწიფო, ვერავითარი სხვა არმია ვერ გაუძლებდა ასეთ შემოტევას. ისტორიაში არ მოიპოვება მაგალითი, რომ სახელმწიფო, რომელმაც ესოდენ ძლიერი მტრის თავდასხმა განიცადა, ომიდან გამოსულიყო უფრო განმტკიცებული და ჰქონოდა გრანდიოზულ შემოქმედებით სამუშაოთა შესრულების უნარი.

„დიდ მსხვერპლს, რაც ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის გავიღეთ, — თქვა ამხანაგმა ი. ბ. სტალინმა ხალხისადმი მიმართვაში 1945 წლის 9 მაისს, — აურაცხელ გაჭირვებასა და ტანჯვას, რაც ჩვენმა ხალხმა ომის მსვლელობაში გადაიტანა, დაძაბულ შრომას ზურგში და ფრონტზე, რაც სამშობლოს საკურთხეველზე მივიტანეთ, — ამაოდ არ ჩაუვლია და მტერზე სრული გამარჯვებით დაგვირგვინდა“.

ფაშისტ აგრესორთა განადგურებამ ყველა ვარაუდი დაურღვია ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის იმპერიალისტებს, რომლებსაც იმედი ჰქონდათ დაემონებინათ ევროპისა და აზიის მთელი რიგი ქვეყნები. ჩვენმა გამარჯვებამ ხელი შეუწყო პოლონეთს, ჩეხოსლოვაკიას, უნგრეთს, ბულგარეთს, რუმინეთსა და ალბანეთს თავი დაეღწიათ იმპერიალიზმის უღლისათვის და სოციალიზმის მშენებლობის გზას დასდგომოდნენ. დიდი სამამულო ომის ძლევამოსილად დამთავრების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შედეგი იყო აღმოსავლეთის კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მძლავრი აღმავლობა, ჩინეთში სახალხო რევოლუციის გამარჯვება და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შექმნა.

საბჭოთა კავშირის მსოფლიო-ისტორიულმა გამარჯვებამ ძირფესვიანად შეცვალა გერმანელი ხალხის ბედიც. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა მობრუნების პუნქტი გახდა მთელი ევროპის ისტორიაში.

განუზომლად ამაღლდა სსრ კავშირის საერთაშორისო მნიშვნელობა და ავტორიტეტი. საერთაშორისო ვითარებაში მოხდა არსებითი ცვლილებანი, ორ სისტემას — სოციალისტურ და კაპიტალისტურ სისტემებს შორის ძალთა თანაფარდობა მკვეთრად შეიცვალა სოციალიზმის სასარგებლოდ.

დიდი სამამულო ომის დროს მსოფლიოს ყველა ხალხმა თვალნათლივ დაინახა სოციალიზმის განუზომელი უპირატესობანი კაპიტალიზმთან შედარებით. სოციალისტურმა წყობილებამ, რომელიც 1917 წლის ოქტომბერში იშვა, უძლეველი ძალა მიანიჭა ჩვენს ხალხსა და ჩვენს არმიას.

ომმა ცხადყო, რომ საბჭოთა საზოგადოებრივი წყობილება ყველაზე სიცოცხლისუნარიანი და მტკიცე წყობილებაა. იგი გამოდგა საზოგადოების ორგანიზაციის საუკეთესო ფორმა, რომელსაც შეუძლია უზრუნველყოს ქვეყნის განუხრელი ეკონომიური და კულტურული აღმავლობა მშვიდობიანი მშენებლობის წლებში და ხალხის მთელი ძალები დარაზმოს მტრისათვის წინააღმდეგობის გასაწევად ომის დროს. საბჭოთა წყობილებამ უზრუნველყო ჩვენი არმიისათვის ყველაზე მტკიცე და საიმედო ზურგი. ჩვენი ხალხის თავდადებული შრომა ზურგში, საბჭოთა არმიის გმირულ ბრძოლასთან ერთად, ისტორიაში შევიდა, როგორც უმაგალითო გმირობა სამშობლოს დასაცავად.

მრავალეროვანმა საბჭოთა სახელმწიფომ ღირსეულად გაუძლო ყველა განსაცდელს, დაამტკიცა თავისი სრული სიცოცხლისუნარიანობა, უფრო ძლიერი გამოვიდა ომიდან. ომის წლებში სრულად განვითარდა ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს ისეთი მამოძრავებელი ძალები, როგორიცაა საბჭოთა საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობა, ცხოველმყოფელი საბჭოთა პატრიოტიზმი.

საბჭოთა სახელმწიფოს და მისი შეიარაღებული ძალების ძლიერების უდიდეს წყაროს, მტერზე ჩვენი გამარჯვების წყაროს წარმოადგენს სახელოვანი ბოლშევიკური პარტიის, დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის ბრძნული ხელმძღვანელობა. დიდი სამამულო ომის დღეებში ლენინ-სტალინის პარტია იყო ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ საყოველთაო-სახალხო ბრძოლის სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი. მან გააერთიანა და წარმართა საბჭოთა ადამიანების მთელი ღონისძიებანი, მთელი ძალები და სახსრები საერთო მიზნისაკენ — მტრის გასანადგურებლად. ბოლშევიკურმა პარტიამ უდიდესი მუშაობა გასწია, რათა განემტკიცებინა სსრ კავშირის შეიარაღებული ძალები, შთაენერგა მაღალი მორალურ-საბრძოლო თვისებანი ჩვენი მეომრებისათვის, რომლებიც მასობრივ გმირობას იჩენდნენ ბრძოლის ველზე.

სოციალიზმის ქვეყნის ისტორიული გამარჯვება ამავე დროს საბჭოთა არმიის გამარჯვება იყო, გამარჯვება, რომელიც მუდამ გამოიწვევს საბჭოთა ხალხის კანონიერ პატრიოტულ სიამაყეს და მთელი პროგრესული კაცობრიობის აღტაცებას.

საბჭოთა იარაღის ბრწყინვალე წარმატებანი ტრიუმფია სტალინური სამხედრო მეცნიერებისა, რომლის ისტორიულ საძირკველსაც წარმოადგენს გენიალური მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება საზოგადოებრივი განვითარების კანონთა შესახებ, მარქსისტულ-ლენინური მატერიალისტური დიალექტიკა — სამყაროს შეცნობისა და რევოლუციური გარდაქმნის მძლავრი იარაღი.

სტალინური სამხედრო მეცნიერება წარმოიშვა საბჭოთა წყობილების — მსოფლიოში ყველაზე მოწინავე და პროგრესული საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების ბაზაზე. იგი ისევე მაღლა დგას ბურჟუაზიულ სამხედრო მეცნიერებაზე, როგორც სოციალისტური სახელმწიფო მაღლა დგას ბურჟუაზიულ სახელმწიფოზე.

სტალინური სამხედრო მეცნიერება წარმატებით წყვეტდა ომის წლებში წამოჭრილ ყველა ამოცანას. მან შექმნა თავდაცვის, შეტევისა და კონტრშეტევის ახალი კანონები. იგი ახლებურად წყვეტდა ჯარის დიდი მასებისა და თანამედროვე საბრძოლო ტექნიკის გამოყენების ამოცანებს.

ბურჟუაზიულმა სამხედრო მეცნიერებამ ვერ გაუძლო ომით შემოწმებას. მისი ფილოსოფიური საძირკველია რეაქციული იდეალისტური მსოფლმხედველობა. იგი ასახავს დასაღუპავად განწირული კაპიტალისტური წყობილების თვისებებს.

დიდი სამამულო ომის წლებში ამხანაგმა სტალინმა უმაგალითო სიმაღლეზე აიყვანა საბჭოთა სამხედრო ხელოვნება — სამხედრო მეცნიერების შემადგენელი ნაწილი. სტალინური სტრატეგია გვაოცებს სიბრძნით, სიღრმით, იმით, რომ შესანიშნავად განჭვრეტს მოწინააღმდეგის ზრახვებს და გეგმებს, გაბედულად სახავს მიზნებს და იყენებს ყველა შესაძლებლობას გამარჯვების მისაღწევად.

სტალინურ ოპერატიულ ხელოვნებას ახასიათებს უმაგალითო გაქანების ოპერაციების განხორციელება, დარტყმების უეცრობა და ძალა.

სტალინური ტაქტიკა გამოირჩევა მოქნილობით, შაბლონის სრული დაძლევით, მანევრირების შესანიშნავი ხელოვნებით, ბრძოლის სხვადასხვა ფორმის უნარიანი შეხამებით, ყველა სახეობის ტექნიკის ყოველმხრივი გამოყენებით.

ომის დასაწყისში საბჭოთა აქტიურმა თავდაცვამ დააუძლურა მტერი და გადამწყვეტ კონტრშეტევაზე გადასვლის ყველა პირობა შექმნა. საბჭოთა არმიამ თავისი შეტევითი მოქმედებით გვიჩვენა ისეთი გამანადგურებელი დარტყმების მოწყობის უმაგალითო უნარი, რომლებიც დიდ სიღრმეზე, მზარდი ძალითა და არაჩვეულებრივად მაღალი ტემპით ხორციელდებოდა. მოსკოვსა და სტალინგრადთან, კურსკსა და ბელგოროდთან, კიევსა და კიროვოგრადთან, მინსკსა და ბობრუისკთან, ლენინგრადსა და ტალინთან, იასსა და ლვოვთან, ვისლასა და ნემანზე, დუნაისა და ოდერზე, ვენასა და ბერლინთან საბჭოთა არმიის ბრწყინვალე გამარჯვებები ისტორიაში შევიდა, როგორც საბჭოთა სამხედრო ხელოვნების უბადლო ნიმუშები, როგორც ამხანაგ სტალინის სიბრძნისა და მხედართმთავრული გენიის ბრწყინვალე დადასტურება.

უკანასკნელ ბრძოლაში ბერლინისათვის ყველაზე სრულად გამოვლინდა საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს უძლეველი სიმძლავრე, მისი პოლიტიკის, ეკონომიკისა და სამხედრო სტრატეგიის ერთიანობა, მისი სამხედრო მეცნიერების უპირატესობა, მისი საბრძოლო ტექნიკის პირველხარისხოვანი ხასიათი და დიდი სტალინის მიერ აღზრდილი სამხედრო კადრების უბადლო ოსტატობა.

საბჭოთა არმიის წარმატებითი შეტევის შესაჩერებლად ჰიტლერელთა სარდლობამ მის წინააღმდეგ გამოიყვანა მთელი თავისი რეზერვები და ფაქტიურად შეწყვიტა ყოველგვარი წინააღმდეგობა ინგლის-ამერიკის ჯარების მიმართ. მაგრამ ამან ჰიტლერული გერმანია ვერ იხსნა სრული განადგურებისაგან. საბჭოთა ჯარებმა ბერლინში რაიხსტაგზე აღმართეს გამარჯვების დროშა, როგორც სიმბოლო მშვიდობის, სოციალიზმისა და დემოკრატიის ძალების გამარჯვებისა ფაშიზმისა და რეაქციის ძალებზე.

დიდი სამამულო ომის დამთავრების შემდეგ განვლილი წლები სსრ კავშირის მშრომელებმა აღნიშნეს შესანიშნავი წარმატებებით კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში. ვადამდე შესრულებულია სახალხო მეურნეობის აღდგენისა და შემდგომი განვითარების ომისშემდგომი ხუთწლიანი გეგმა, რომელიც დიდი სტალინის მიერ დასახული კომუნიზმის მშენებლობის გრანდიოზული პროგრამის შემადგენელი ნაწილია. 1950 წელს სსრ კავშირში გამოშვებულ იქნა 73 პროცენტით მეტი სამრეწველო პროდუქცია, ვიდრე ომამდელ 1940 წელს, მაშინ როცა ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული იყო 48 პროცენტით ზრდა. ჩვენმა ქვეყანამ უდიდეს წარმატებებს მიაღწია სოციალისტური სოფლის მეურნეობის შემდგომ განვითარებაში, მეცნიერებისა და კულტურის აყვავებაში.

ყოველივე ამას მოჰყვა საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის განუხრელი გაუმჯობესება. გადიდდა მშრომელთა რეალური ხელფასი. სურსათისა და ფართო მოხმარების საქონლის ფასების თანმიმდევრულმა ოთხგზის შემცირებამ მნიშვნელოვნად აამაღლა ჩვენი ხალხის მატერიალური დონე.

მშვიდობიანი მშენებლობის ფრონტზე კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, ბრძენი ბელადის ამხანაგ სტალინის წინამძღოლობით მოპოვებულმა დიადმა გამარჯვებებმა ყველა პირობა შექმნა ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალების კიდევ უფრო სწრაფი ზრდისათვის. უმაგალითო აღმავლობით შეუდგნენ სსრ კავშირის ხალხები სტალინური ეპოქის უდიდეს ნაგებობათა — გიგანტური ჰიდროელექტროსადგურების, არხებისა და სარწყავი სისტემების შექმნას.

სსრ კავშირის ისტორიული გამარჯვებანი კომუნისტური მშენებლობის ფრონტზე საბჭოთა არმიის მეომრებს აღაფრთოვანებენ ახალ-ახალი წარმატებებისათვის საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაში. თავისი ხალხისადმი, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობისადმი უსაზღვროდ ერთგული ჩვენი შეიარაღებული ძალები ფხიზლად იცავენ საბჭოთა ადამიანების მშვიდობიან შემოქმედებით შრომას.

საბჭოთა კავშირის სამეურნეო წარმატებებს უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობა აქვთ. ისინი მთელი მსოფლიოს ხალხთა მასებში განამტკიცებენ ლენინიზმის დიადი იდეების გამარჯვების რწმენას. სახალხო დემოკრატიის ქვეყნების, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელნი იყენებენ სსრ კავშირის სოციალისტური მშენებლობის მსოფლიო-ისტორიულ გამოცდილებას და წარმატებით ქმნიან სოციალიზმის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას.

საბჭოთა ადამიანების მიერ მეოთხე ხუთწლედის პერიოდში მოპოვებული შესანიშნავი მიღწევები ყველა ქვეყნის ხალხთა მასებს აღაფრთოვანებენ, რათა კიდევ უფრო თავდადებით იბრძოლონ მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის, ომის გამჩაღებლების წინააღმდეგ.

კაპიტალისტური სისტემის სულ უფრო მზარდი წინააღმდეგობებიდან გამოსავალს იმპერიალისტები ეძებენ ახალი მსოფლიო ომის მომზადებაში. ამხილებდა რა ინგლისელ-ამერიკელი იმპერიალისტების დამპყრობლურ გეგმებსა და მოქმედებას, რომლებიც ცდილობდნენ ჩაეხშოთ რუსეთის რევოლუციური ხალხი, ლენინი ოცდაათ წელზე მეტი ხნის წინათ ამბობდა:

„ისინი მოდიან, რათა დათრგუნონ ხალხი, რომელიც კაპიტალიზმისაგან თავისუფლდება, მოდიან რათა ჩაახშონ რევოლუცია. და ჩვენ აბსოლუტური სიმტკიცით ვამბობთ, რომ ახლა ეს გამტყვრალი მხეცი ისევე გადაიჩეხება უფსკრულში, როგორც გერმანიის იმპერიალიზმის მხეცი გადაიჩეხა“ (ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, გამოც. 4, ტომი 28, გვ. 140).

დღეს, როცა საბჭოთა ხალხი აღნიშნავს ფაშიზმის შავბნელ ძალებზე დიადი გამარჯვების მეექვსე წლისთავს, ლენინის ეს სიტყვები გაისმის როგორც მრისხანე გაფრთხილება მსოფლიო ბატონობის ახალი პრეტენდენტებისადმი. ყველა ქვეყნის ხალხები, ასრულებენ რა მშვიდობის დიდი მედროშის იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის ბრძნულ მითითებებს, თავიანთ ხელში იღებენ მშვიდობის შენარჩუნების საქმეს და მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ბოლომდე დაიცვან იგი.

გენერალ-პოლკოვნიკი
ა. პოკროვსკი

თბილისის მუშების საპირველმაისო დემონსტრაციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია

7 მაისს საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალში გაიმართა ამხანაგ ი. ბ. სტალინის ხელმძღვანელობით თბილისის მუშების 1901 წლის პირველი საპირველმაისო დემონსტრაციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია.

პრეზიდიუმის მაგიდას უსხედან ამხანაგები რ. შადურა, ა. ჯიშიაშვილი, პ. გუჯაბიძე, ვ. მელქაძე, ა. ქუთელია, გ. ელისაბედაშვილი.

სესია გახსნა მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის დირექტორმა ამხ. ა. ჯიშიაშვილმა. სესიამ საპატიო პრეზიდიუმში აირჩია საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო ამხანაგ ი. ბ. სტალინის მეთაურობით, აგრეთვე საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. კ. ნ. ჩარკვიანი.

სესიამ მოისმინა მოხსენებანი: ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ამხ. ა. კიკვიძისა — „მუშათა მოძრაობა საქართველოსა და ამიერკავკასიაში მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში“, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ამხ. ზ. გეგეშიძისა — „ამხანაგი სტალინი თბილისის მუშათა 1901 წლის პირველი საპირველმაისო დემონსტრაციის ორგანიზატორი და ხელმძღვანელი“ და ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ამხ. ი. მირცხულავასი — „თბილისის მუშათა პირველი საპირველმაისო დემონსტრაციის ისტორიული მნიშვნელობა საქართველოსა და ამიერკავკასიაში რევოლუციური მოძრაობის განვითარების საქმეში“.

სესიის მონაწილეებმა უდიდესი აღფრთოვანებით მიიღეს ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი მისალმების ტექსტი. (საქინფორმი).

მოსკოვის პრესის მუშაკთა საერთო საქალაქო კრება

5 მაისს, კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში გაიმართა მოსკოვის პრესის მუშაკთა საერთო-საქალაქო კრება, მიძღვნილი ბოლშევიკური პრესის დღისადმი.

ტაშის გრიალით საპატიო პრეზიდიუმში არჩეულ იქნა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო ამხანაგ **ი. ბ. სტალინის** მეთაურობით.

ბოლშევიკური პრესის დღის შესახებ მოხსენება გააკეთა „პრავდის“ მთავარი რედაქტორის მოადგილემ ამხ. ლ. თ. ილიჩევმა.

მომხსენებელმა თქვა, რომ წელს პრესის დღე აღინიშნა **ლენინ-სტალინის** პარტიის ხელმძღვანელობით ჩვენი დიადი სამშობლოს მიერ მოპოვებულ შესანიშნავ გამარჯვებათა ვითარებაში. საბჭოთა ხალხმა წარმატებით შეასრულა ომისშემდგომი ხუთწლედი. ბოლშევიკური პრესა უდიდეს როლს ასრულებს საბჭოთა ხალხის ბრძოლაში კომუნისტური მშენებლობის ახალი გამარჯვებისათვის, მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის.

გაზეთს, ჟურნალს, წიგნს შეაქვს მასებში მარქსიზმ-ლენინიზმის იდეები, ეხმარება პარტიას მშრომელთა კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდაში.

საბჭოთა პრესა მსოფლიოში ყველაზე თავისუფალი, მშრომელებთან მჭიდროდ დაკავშირებული პრესაა.

კომუნიზმის გამარჯვებისათვის საბჭოთა ხალხის დიად ბრძოლაში ბოლშევიკური პრესა ღირსეულად შეასრულებს **ლენინ-სტალინის** პარტიის მიერ მის წინაშე დასახულ ამოცანებს.

კრების მონაწილეებმა უდიდესი აღფრთოვანებით მიიღეს მისალმება **ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი**. (საქდესი).

რადიოს დღისადმი მიძღვნილი საზეიმო კრება

საბჭოთა არმიის თბილისის ოფიცერთა საოლქო სახლში შედგა რადიოს დღისადმი მიძღვნილი საზეიმო კრება.

კრების მონაწილეებმა მქუხარე ხანგრძლივი ტაშით საპატიო პრეზიდიუმში აირჩიეს საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო დიდი სტალინის მეთაურობით, აგრეთვე საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხანაგი კ. ჩარკვიანი.

რადიოს დღის შესახებ მოხსენება გააკეთა რადიოტექნიკისა და ელექტროკავშირგაბმულობის საკავშირო სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების ნამდვილმა წევრმა ამხ. დ. ხმიადაშვილმა.

ოფიცრის სახლის ფოიეში მოწყობილი იყო საბჭოთა რადიოს დღისადმი მიძღვნილი გამოფენა.

კრების დასასრულ მოეწყო კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს დედაქალაქის თეატრალურმა ძალებმა.

მისალმებათა ნაკადი

ამხანაგ ი. ბ. სტალინს დაბადების სამოცდათ წლისთავთან დაკავშირებით მისალმებანი გამოგზავნეს და ამხანაგ სტალინს გულითადად უსურვეს ჯანმრთელობა და მრავალ წელს სიცოცხლე:

ქ. მინსკის ვოროშილოვის რაიონის სასამართლოს, პროკურატურისა და ადვოკატურის მუშაკთა კოლექტივმა;

გორკის ოლქის კრიავინინის რაიონის სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკებმა;

კურსკის ოლქის მიქოიანის რაიონის კომკავშირელებმა და ახალგაზრდობამ;

პენზის ოლქის ვადინის რაიონის ილიჩის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა;

ქ. კიროვის ქალთა № 23 შვიდწლიანი სკოლის მოსწავლეთა და მასწავლებელთა კოლექტივმა და პიონერთა რაზმმა;

სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის ტიუმენის საოლქო კანტორის მუშაკებმა;

კემეროვის ოლქის ბარზასის რაიონის მშრომელებმა;

ხარკოვის ოლქის ზაჩეპილოვის რაიონის კოლმეურნეობა „შლიახ დო კომუნიზმუს“ წევრებმა;

უკრაინის ალკკ როვნოს ოლქის ოსტროგის რაიკომმა;

ხარკოვის ოლქის კავშირგაბმულობის ლოზოვაიას რაიონული კანტორის მუშაკთა კოლექტივმა;

კალუგის ოლქის ბაბინინოს რაიონის კოლმეურნეობა „სვობოდნი ტრუდის“ წევრებმა;

ტამბოვის ოლქის რუდოვკის რაიონის სამომხმარებლო კოოპერაციის მუშა-მოსამსახურეებმა;

ნოვოსიბირსკის ოლქის პიხტოვკის რაიონის სოფელ ნოვოსელოვკას მშრომელებმა;

ხარკოვის ოლქის სტარო სალტოს რაიონული პარტიული ორგანიზაციის კომუნისტებმა;

უკრაინის კ. პ. (ბ) დროგობიჩის ოლქის სტარო სამბორის რაიკომმა;

კალუგის ოლქის ბაბინინოს რაიონის სასოფლო-სამეურნეო არტელ „ნოვაია დერევნიას“ წევრებმა;

ბურიატ-მონღოლეთის ასსრ სელენგის აიმაკის კოლმეურნეობა „ავანგარდის“ წევრებმა;

კურსკის ოლქის ტიმის რაიონის მშრომელებმა;

ბრესტის ოლქის მშრომელთა დეპუტატების მალორიტის რაიონულმა საბჭომ;

ქ. ტაშკენტის ვაჟთა № 55 საშუალო სკოლის მოსწავლეთა და მასწავლებელთა კოლექტივმა;

ჩერნოვიცის ოლქის პუტილის რაიონულმა პარტიულმა ორგანიზაციამ;

კალუგის ოლქის ბარიატინსკის რაიონის კავშირგაბმულობის მუშაკებმა;

ყაზახეთის კ. პ. (ბ) პრიურალის რაიკომმა და დასავლეთ ყაზახეთის ოლქის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომმა;

საკავშირო კ. პ. (ბ) კუდარის საიმაკო კომიტეტმა და ბურიატ-მონღოლეთის ასსრ მშრომელთა დეპუტატების საიმაკო საბჭოს აღმასკომმა;

პენზის ოლქის კუჩკის რაიონის სამედიცინო მუშაკთა კოლექტივმა;

სომხეთის სსრ აზიზბეკოვის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა;

მოლდავეთის სსრ რომანოვკის რაიონის სამომხმარებლო კავშირის სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკებმა;

როსტოვის ოლქის კოლუშკის რაიონის კოლმეურნეობა „ვლასტ სოვეტოვის“ წევრებმა;

ბრესტის ოლქის ბერეზოვკის რაიონის კოლმეურნეობა „ზარიას“ წევრებმა;

როსტოვის ოლქის მატვეევო-კურგანის რაიონის კოლმეურნეობა „ზა ვისოკი უროჟაის“ წევრებმა;

პენზის ოლქის [illegible] კოლმეურნეობა „ზნამია ტრუდას“ წევრებმა;

ტამბოვის ოლქის შულგინის რაიონის კოლმეურნეობა „1 მაისის“ წევრებმა;

კრასნოდარის მხარის სევერსკის რაიონის კოლმეურნეობა „პუტი ილიჩას“ წევრებმა;

კარელია-ფინეთის სსრ ქ. სეგეჟის საბჭოთა, პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციების საზეიმო სხდომის მონაწილეებმა;

პენზის ოლქის კამენსკის რაიონის კოლმეურნეობა „პარიჟსკაია კომუნას“ წევრებმა;

ქ. ტაგანროგის საბინაო-კომუნალური მეურნეობის მუშაკთა კრებამ;

ქ. კუიბიშევის ძერჟინსკის რაიონის პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საზეიმო სხდომამ;

კიევის ტ. გ. შევჩენკოს სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობის ფაკულტეტის სტუდენტებმა, ასპირანტებმა, პროფესორებმა და მასწავლებლებმა;

ულიანოვსკის ოლქის ასტრადამოვის რაიონის სასოფლო-სამეურნეო არტელ „ტრუდოვიკის“ წევრებმა;

საქართველოს სსრ ბოლნისის რაიონის პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული აქტივის კრებამ;

არხანგელსკის ოლქის ქ. კარგოპოლის პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა;

კიროვის ოლქის კაის რაიონის სოფელ ლოინოს მშრომელებმა;

ტამბოვის ოლქის რაკშის რაიონის კოლმეურნეობა „მიროვოი ოქტიაბრის“ წევრებმა;

ასტრახანის ოლქის ხარაბალინის რაიონის მუშებმა, კოლმეურნეებმა და ინტელიგენციამ;

კუიბიშევის ოლქის ბოლშაია გლუშიცას რაიონის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა;

ჩუვაშეთის ასსრ იალჩიკის რაიონის კოლმეურნეობა „კიმის“ წევრებმა;

ტამბოვის ოლქის კამენკის რაიონის ჩაპაევის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა;

ვორონეჟის ოლქის გოლოსნოვის რაიონის ტელმანის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა;

კრასნოდარის მხარის დაბა ხოსტის კურორტის ჯანმრთელობის კერების მუშებმა, სამედიცინო მუშაკებმა და მოსამსახურეებმა;

როსტოვის ოლქის დუბოვკის ცხენსაშენის მუშებმა, მოსამსახურეებმა და სპეციალისტებმა;

ტამბოვის ოლქის იზბერდეის რაიონის სასოფლო-სამეურნეო არტელ „დენ კოლექტივიზაციის“ წევრებმა;

ბობრუისკის ოლქის სლუცკის რაიონის კოლმეურნეობა „პამიატ ილიჩას“ წევრებმა;

ვოლინის ოლქის გოლოვნიანის რაიონის კოლმეურნეობა „პრავდის“ წევრებმა;

ჩერნოვიცის ოლქის ზასტავნის რაიონულმა პარტიულმა ორგანიზაციამ;

ვოლინის ოლქის გოლოვნიანის რაიონის კოლმეურნეობა „კომსომოლეცის“ წევრებმა;

ალტაის მხარის ნოვიჩიხინის რაიონის სტალინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის წევრებმა;

საქართველოს სსრ ლანჩხუთის რაიონის პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საზეიმო სხდომის მონაწილეებმა;

კალუგის ოლქის კოზელსკის რაიონის არტელ „კრასნი პიშჩევიკის“ მუშა-მოსამსახურეებმა;

ხარკოვის სასამართლო ექსპერტიზის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის თანამშრომელთა კოლექტივმა.

(გაგრძელება იქნება)

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საზანოს № 194 საარჩევნო ოლქში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის არჩევნების დღის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს**:

„საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების“ 97 მუხლის შესაბამისად დაინიშნოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის არჩევნები საზანოს № 194 საარჩევნო ოლქში 1951 წლის 10 ივნისს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. გოგუა
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი

ქ. თბილისი. 1951 წ. 8 მაისი.

* * *

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1950 წლის 19 დეკემბრის ბრძანებულებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების საზანოს № 194 საარჩევნო ოლქი შექმნილია შემდეგი შემადგენლობით:

თერჯოლის რაიონის სასოფლო საბჭოები: საზანოს, თუზის, ქვედა ალისუბნისა და ზედა ალისუბნისა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების ცალკეულ საარჩევნო ოლქებში არჩევნების საარჩევნო კამპანიის ვადის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1951 წლის 8 მაისის ბრძანებულებით დაწესებულია, რომ ცალკეულ საარჩევნო ოლქებში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების არჩევნების ჩატარების დროს საარჩევნო კამპანია მოცემულ საარჩევნო ოლქში იწყება ერთი თვით ადრე არჩევნების დღემდე, ნაცვლად ორი თვისა, რაც „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულებით“ გათვალისწინებულია საერთო არჩევნებისათვის.

ამის შესაბამისად:

ა) ამომრჩეველთა სიებს საყოველთაო გასაცნობად მშრომელთა დეპუტატების სათანადო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი გამოაკრავს 20 დღით ადრე არჩევნებამდე;

ბ) საარჩევნო უბნების შექმნა და საუბნო საარჩევნო კომისიების დამტკიცება ხდება არაუგვიანეს 25 დღისა, ხოლო საოლქო საარჩევნო კომისიებს დამტკიცება — არაუგვიანეს 28 დღისა არჩევნებამდე;

გ) საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატების რეგისტრაცია ხდება საოლქო საარჩევნო კომისიებში არაუგვიანეს 15 დღისა არჩევნებამდე, ხოლო ცნობები დეპუტატობის რეგისტრირებულ კანდიდატზე და საზოგადოებრივი ორგანიზაციის დასახელება, რომელმაც წამოაყენა კანდიდატი, ქვეყნდება არაუგვიანეს 12 დღისა არჩევნებამდე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის ნამდვილი წევრის, საქართველოს სსრ სახალხო მხატვრის ი. ი. ნიკოლაძის ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დაადგინა:

1. მიეკუთვნოს თბილისის სამხატვრო სასწავლებელს ი. ი. ნიკოლაძის სახელი.
2. დაწესდეს თბილისის სამხატვრო აკადემიის სტუდენტებისათვის ი. ი. ნიკოლაძის სახელობის ორი სტიპენდია თვეში თვითეული 500 მანეთის რაოდენობით.
3. ი. ი. ნიკოლაძის სახლისნომში თბილისში შეიქმნას ი. ი. ნიკოლაძის სახლი-მუზეუმი.
4. დაევალოს სახელგამს გამოსცეს 1951-1952 წლებში ი. ი. ნიკოლაძის ნაწარმოებთა ალბომი შესავალი სტატიით რუსულ და ქართულ ენებზე.
5. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ხელოვნების საქმეთა სამმართველოს დადგას 1952 წელს ი. ი. ნიკოლაძის საფლავზე მისი ბიუსტი.
6. დაენიშნოს ი. ი. ნიკოლაძის მეუღლეს ბ. ა. ნიკოლაძეს პერსონალური პენსია თვეში 600 მანეთის რაოდენობით სამუდამოდ.

„ანტონიოსი და კლეოპატრა"

მარჯანიშვილის სახელობის თეატრის ახალი დადგმა

მაყურებელთა შორის ცხოველი ინტერესი გამოიწვია მარჯანიშვილის სახელობის თეატრის სცენაზე წარმოდგენილმა შექსპირის პიესამ — „ანტონიოსი და კლეოპატრა". ეს ტრაგედია, მიუხედავად თავისი ბრწყინვალე პოეტური თვისებებისა და სახეთა არაჩვეულებრივი ემოციური სიძლიერისა, საერთოდ ძალიან იშვიათად იდგმებოდა, ხოლო ქართულ სცენაზე პირველად დადგა მარჯანიშვილის სახელობის თეატრმა.

„ანტონიოსი და კლეოპატრას" შესანიშნავი თარგმანი ეკუთვნის გამოჩენილ ქართველ მწერალს ივანე მაჩაბელს. ნათელი ტექსტი დიდად უწყობს ხელს მაყურებლის მიერ სპექტაკლის აღქმას.

საჭიროა აღინიშნოს, რომ სპექტაკლის დადგმისას რეჟისორ ვ. ტაბლიაშვილს მთავარი ყურადღება შექსპირის ტრაგედიის ერთი მხარისათვის — ანტონიოსისა და კლეოპატრას სიყვარულისათვის მიუპყრია. ნაწარმოების ეს თავისთავად მნიშვნელოვანი თემა შესანიშნავ მასალას იძლევა მსახიობთათვის, მაგრამ თანამედროვეობის შესატყვისი სპექტაკლის შესაქმნელად საჭირო იყო მისი დაქვემდებარება პიესის მთავარი იდეის უფრო მკვეთრად გადმოცემისათვის, რაც ძველი რომის რესპუბლიკის დაცემისა და დეგრადაციის პროცესის ჩვენებაში მდგომარეობს.

ამჟამად უკვე უდავოა, რომ შექსპირის ტექსტი მოითხოვს შემცირებას და სარეჟისორო მონტაჟი აუცილებელია თანამედროვე სცენაზე შექსპირის ნაწარმოებთა წარმოდგენისათვის. სპექტაკლის დამდგმელმა ძირითადად წარმატებით დასძლია რთული ამოცანა, სპექტაკლს დინამიკურობა და სისადავე შესძინა, მაგრამ მონტაჟის შედეგად ზოგიერთმა სახემ დაკარგა მთლიანობა, მთელი რიგი სცენები, რომლებსაც მნიშვნელობა ჰქონდათ ნაწარმოების იდეური მხარის ლოგიკური განვითარებისათვის, სრულიად ამოღებულია.

სპექტაკლის წარმატების ერთ-ერთ მთავარ პირობად უნდა ჩაითვალოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ი. სუმბათაშვილის მხატვრული გაფორმება. სპექტაკლის ყოველი სურათისათვის მხატვარმა შეძლო შეერჩია ლაკონიური, მეტყველი და გამომსახველი დეკორაციული საშუალებანი, რათა შესაფერი სტილისა და განწყობილების მხატვრული გარემო შეექმნა. დიდი გემოვნებით გაკეთებულია კოსტიუმებიც.

კარგია კომპოზიტორ ა. კერესელიძის მიერ სპექტაკლისათვის დაწერილი მუსიკა.

სამწუხაროდ იგივე არ ითქმის ცეკვებზე. გულბათ დავითაშვილს მაყურებელი იცნობს საუცხოოდ დადგმული ბალეტით „ექიმი აიბოლიტი" და სხვა კარგი ნამუშევრებით. ამჯერადაც ნიჭიერი ბალეტმაისტერისაგან მაყურებელი მოელოდა ძველი ეგვიპტური კულტურის შესატყვისი ნატიფი პლასტიკის განსახიერებას. მაგრამ ქორეოგრაფს სხვა გზა აურჩევია. მას შეუქმნია იმდროინდელი ეგვიპტის სასახლის კარისათვის სრულიად შეუფერებელი ველური ცეკვები. ეს მით უფრო სამწუხაროა, რომ ამ ცეკვებს სპექტაკლის პირველ მოქმედებაში საკმაოდ დიდი ადგილი უკავიათ.

სპექტაკლის ცენტრშია დიდი ქართველი მსახიობი ვერიკო ანჯაფარიძე, რომელიც კლეოპატრას განასახიერებს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ კლეოპატრას სახე შექსპირის ქალთა სახეებს შორის ერთ-ერთი ყველაზე ღრმა და მრავალფეროვანია. შექსპირის კლეოპატრა რთული, წინააღმდეგობებით აღსავსე სახეა. ეგვიპტის დედოფლის არსებაში იბრძვის ორი საწყისი — მოვალეობა თავისი სახელმწიფოს წინაშე და უსაზღვრო, გამაგებული სიყვარული რომაელი სარდლის — მარკოს ანტონიოსისადმი.

მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, დამდგმელმა სპექტაკლში მთავარ ხაზად დასახა ანტონიოსის და კლეოპატრას სიყვარული. ამიტომ ვ. ანჯაფარიძის კლეოპატრასაც თავისი ცხოვრების მთავარ აზრად და მისწრაფებად მხოლოდ სიყვარული დაუსახავს. სიყვარულია მისთვის მთავარი მამოძრავებელი ძალა, მის გარეშე მას არ აინტერესებს არც თავისი სახელმწიფოს საქმეები, არც თვით სიცოცხლე. კლეოპატრას ხასიათის ასე ჩვენება მისი სახის მთლიანობას ზიანს აყენებს. შექსპირს უაღრესად მკვეთრად აქვს მოცემული სახელმწიფოებრივისა და პირადულის ბრძოლა კლეოპატრაში. მაგალითისათვის ავიღოთ ტრაგედიის ერთი მეტად მნიშვნელოვანი სცენა: ანტონიოსის სიკვდილის შემდეგ, მიუხედავად მისდამი თავისი უსაზღვრო სიყვარულისა, მისი სიკვდილით გამოწვეული უდიდესი მწუხარებისა, კლეოპატრას ერთბაშად არ გადაუწყვეტია თავის მოკვლა. იგი შეპყრობილია ფიქრებით ეგვიპტისა და შვილების შესახებ, მას ჯერ კიდევ თითქოს სიცოცხლეც სწყურია. იგი ხვდება ოქტავიოს კეისარს, თვალთმაქცობს მასთან, მის მოხიბვლასაც კი ცდილობს. და მხოლოდ მაშინ, როდესაც რწმუნდება, რომ მისი ყოველი ცდა ამაოა და რომ კეისარს გადაწყვეტილი აქვს დედოფალი რომში ტყვედ წაიყვანოს, მხოლოდ მაშინ გადაწყვეტს კლეოპატრა სიკვდილს. ეს სცენა, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს კლეოპატრას სახის განვითარების ჩვენებისათვის, სამწუხაროდ, მონტაჟის შედეგად სრულიად ამოღებულია. სამაგიეროდ იმას, რასაც გადმოსცემს მსახიობი, ესე იგი თავისი დიდი გრძნობის მთელ სიმფონიას, იგი ხატავს უდიდესი ექსპრესიით, ჭეშმარიტი განცდით. განსაკუთრებით დასამახსოვრებელია მთელი პირველი მოქმედება (რომის ელჩების მიღების სცენა, ანტონიოსის გაცილება), რომელსაც მსახიობი ბრწყინვალედ ატარებს. უდიდეს დრამატულ პათოსს აღწევს ვ. ანჯაფარიძე უკანასკნელ მოქმედებაში, როდესაც გლოვობს ანტონიოსს. დიდი შთამბეჭდავი სიძლიერით წარმოთქვამს იგი ცნობილ მონოლოგს — „ძილში მეზმანა ქვეყნის მეუფე წოდებული ანტონიოსად...". ეფექტიანია როგორც რეჟისორის ჩანაფიქრის მხრივ, ისე მსახიობის ღრმა გრძნობით გამსჭვალული სიკვდილის ფინალური სცენა.

შეიძლება დავეთანხმოთ ან ნაწილობრივ არ დავეთანხმოთ ვ. ანჯაფარიძეს როლის ზოგიერთი ადგილის გაგებაში, მაგრამ ერთი კი უდავოა: მაყურებელი სტოვებს თეატრს ღრმა მადლობის გრძნობით დიდი შემოქმედისადმი, რომელმაც შესანიშნავი ოსტატობით, ექსპრესიით და სიძლიერით შექმნა ახალი, უაღრესად თავისებური მხატვრული ტილო.

სახელგანთქმული მხედართმთავრის — მარკოს ანტონიოსის როლის ღირსეული შემსრულებელია პიერ კობახიძე. შექსპირს ანტონიოსი დაუსახავს, რომის ძლიერებისა და მისივე სისუსტის, მისი დაცემის ჩასახვის განმსახიერებლად. მაგრამ ვინაიდან საერთოდ შექსპირის შემოქმედებაში ვერსად ვერ შეხვდებით განყენებულ ხასიათებსა თუ მოვლენებს, ამ შემთხვევაშიც მოვლენათა განვითარება, გმირთა ხასიათები მას მოცემული აქვს კონკრეტულ, ისტორიულ ვითარებაში. ამ თვალსაზრისით ნათელი ხდება ის დიდი როლი, რომელიც შექსპირმა დაუთმო ანტონიოსის სიყვარულს კლეოპატრასადმი, რათა ანტონიოსის ამ უდიდესი გატაცების ფონზე გადაეშალა მისი დიდბუნებოვანი ხასიათის მრავალფეროვანი თვისებები.

ანტონიოსის უსაზღვრო სიყვარულს, რომელიც მისთვისაც, ისევე როგორც კლეოპატრასათვის, სიცოცხლის მთავარ მიზნად გადაიქცა, პ. კობახიძე კეთილშობილური სისადავით გვიხატავს. მსახიობი დიდ გამომსახველობას აღწევს პირველ მოქმედებაში, როდესაც ანტონიოსი გატაცებულია სიყვარულით ეგვიპტის დედოფლისადმი, რომლის ზღაპრულმა მომხიბვლელობამ დაატყვევა იგი ნილოსის ნაპირებზე და ყველაფერი დაათმობინა; მაგრამ მომდევნო სცენებში მსახიობს რომ მეტი გრძნობა შთაებერა ანტონიოსის დიდი პირადული და სახელმწიფოებრივი ტრაგედიის გადმოცემაში, უფრო მკაფიო სახეს შექმნიდა.

ტრაგედიის ერთ-ერთი მთავარი გმირი — ოქტავიოს კეისარი შექსპირს დახატული ჰყავს როგორც გონიერული საწყისი. მას აქვს დაკისრებული სახელმწიფოს დაღუპვისაგან ხსნის ფუნქცია. მაგრამ ამაოა ყველა მისი ცდა და ღონისძიება, მისი დროებითი გამარჯვებაც. საბოლოო ანგარიშით ოქტავიოსიც და ანტონიოსიც ერთი და იმავე ეპოქის, ერთი და იმავე ქვეყნის მმართველი წრეების წარმომადგენლები არიან და, მიუხედავად მათი ქცევის გარეგნული განსხვავებისა, ორივე ერთი და იმავე გზით მიემართება, ეს კი რომის დაღუპვის გზაა.

ჩვენი აზრით, დამდგმელს რომ ხაზი გაესვა იმ ისტორიული განწირულებისათვის, რაც ოქტავიოს კეისარს ახასიათებს, ეს ხასიათი, რომელსაც საუცხოოდ განასახიერებს ნიჭიერი მსახიობი გ. შავგულიძე, უფრო გამართლებული იქნებოდა. სცენაზე კი წარმოგვიდგება კეთილშობილი და გონიერი ოქტავიოსი, რომლის გამარჯვება ლოგიკური და საბოლოოა. რაც შეეხება მსახიობის თამაშს, იგი, როგორც მუდამ, დიდი მომხიბვლელობითა და დამაჯერებლობით გამოირჩევა.

არანაკლებ მნიშვნელოვან პერსონაჟად დაუსახავს შექსპირს ანტონიოსის უახლოესი თანამებრძოლის, მთელი მისი ცხოვრების განუყრელი მეგობრის ენობარბოსის სახე. მაგრამ, სამწუხაროდ, მონტაჟის შედეგად თითქმის განახევრებული როლი სახის მთლიანობას დიდ ზიანს აყენებს. ენობარბოსი აღარა ჰგავს სიცოცხლითა და ჰუმორით აღსავსე რომაელ ჯარისკაცს, რომელიც მკვეთრი კონტრასტული ფერებით ჰყავდა დახატული დიდ დრამატურგს. მისი ღალატი, აგრეთვე სიკვდილის სცენა, რომელთაც მაყურებელი მოუმზადებელი ხვდება, გაუმართლებლად გვეჩვენება. მიუხედავად ამისა, კ. დაუშვილი ენობარბოსის განსახიერებისას მაყურებელთა მოწონებას იმსახურებს.

დიდი შინაგანი დამაჯერებლობით გვიხატავს ი. ტრიპოლსკი სექსტ პომპეოსის კოლორიტულ სახეს. წარმატებით გადმოსცემს ტრიუმვირის — მარკოს ლეპიდუსის შემრიგებლურ ბუნებას შ. გოცირელი.

ეროსის მეტად მიმზიდველ და კეთილშობილურ სახეს ქმნის ნიჭიერი ახალგაზრდა მსახიობი ედიშერ მაღალაშვილი. წარმატებით სძლევს თავის ამოცანას ამ როლის მეორე შემსრულებელი შ. ქოჩორაძეც.

კარგად ასრულებს კლეოპატრას პირფარეშის ქარმიანას როლს ნ. დავითაშვილი. გულწრფელია მეორე მხლებლის ირასის როლში ი. დოლიძე.

მშვენიერ შთაბეჭდილებას ახდენენ ყველა ეპიზოდური როლების შემსრულებლნი: თ. ციციშვილი (ოქტავია), ა. კობალაძე (დოლაბელა), ა. ვერულეიშვილი (პროკულეოსი), გ. ტატიშვილი (აგრიპა), ტ. საყვარელიძე (კანიდიოს), დ. ოქროცვარიძე (ალექსას), ა. სიხარულიძე (მარდიან), თ. პაპიაშვილი (დიომიდეს), გ. გოცირელი (მიკრიკი) და სხვ., რომელნიც მკაფიოდ და სიმართლით გადმოსცემენ ძველი რომისა და ეგვიპტის განწყობილებასა და სულისკვეთებას.

მარჯანიშვილის თეატრმა შექსპირის „ანტონიოსი და კლეოპატრას" დადგმით კარგი სპექტაკლი შექმნა. იგი დამსახურებულად სარგებლობს მაყურებელთა მოწონებით.

მაგრამ ისტორიულ თემატიკაზე მუშაობა ჩვენი თეატრისათვის მთავარი როდია. საჭიროა მარჯანიშვილის თეატრის კოლექტივმა უფრო მეტი ენერგიით იბრძოლოს თანამედროვეობის ამსახველი მაღალიდეური სპექტაკლების შესაქმნელად.

ლ. ბაგრატიონი

სოციალისტური შეჯიბრება

საქალაქო საბჭოებს შორის

სიღნაღელებმა იკისრეს ახალი ვალდებულებანი

სიღნაღი. (საკ. კორ.). ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის მანძილზე მნიშვნელოვანი სამუშაოები შესრულდა ქალაქ სიღნაღის კეთილმოწყობისა და მოსახლეობის კომუნალური მომსახურების გაუმჯობესებისათვის. ძირითადად დამთავრდა სიღნაღწნორის საავტომობილო გზის მშენებლობა. ქალაქი სიღნაღი რკინიგზის სადგურს დაუკავშირდა 5-5,5 კილომეტრიანი გზით. აშენდა მრავალი ახალი საჯარო მაღაზია და ფარდული. კეთილმოწყობილია ბარათაშვილის ქუჩა, რომელსაც საყრდენი კედელი გაუკეთდა. თვალსაჩინო სამუშაოები შესრულდა ევდოშვილის, მთის, სარაჯიშვილის, ჯაფარიძის ქუჩებზე. 12.350 კვადრატულ მეტრზე დაგებულ იქნა ქვაფენილი. ბერიასა და ლენინის ქუჩებზე მოეწყო ახალი სკვერი. დაირგო 2.700 ძირი დეკორაციული მცენარე და ხეხილი. ქალაქის ყველა ქუჩა და სკვერი განათებულია ელექტროლამპიონებით. მთავრდება ფეხბურთის მოედნის მშენებლობა.

ამ დღეებში სიღნაღის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს სესიამ იმსჯელა ქალაქის შემდგომ კეთილმოწყობაზე. დეპუტატებმა ი. ჩინჩალაძემ, ალ. წერეთელმა, შ. ნასყიდაშვილმა და გ. შუშტაკაშვილმა მნიშვნელოვანი წინადადებანი შეიტანეს სიღნაღის შემდგომი გამშვენიერებისათვის.

სესიამ დეპუტატების წინადადებები მოიწონა. სოციალისტურ შეჯიბრებაში სიღნაღელებმა გამოიწვიეს გურჯაანელები.

სიღნაღის საქალაქო საბჭომ თავის მხრივ ვალდებულება იკისრა განახორციელოს შემდეგი სამუშაოები: წელს დაიწყება და დამთავრდება ლენინის, კეცხოველისა და 1905 წლის რევოლუციის ქუჩების გაფართოება სულ მცირე 10-12 მეტრ სიგანემდე, რაზეც დაიხარჯება 300 ათასი მანეთი; მოკირწყლული იქნება 4.500 კვადრატული მეტრი ფართობი; კულტურისა და დასვენების პარკში 350 მაყურებლისათვის აშენდება საზაფხულო კინოთეატრი; საბჭოსა და ბარათაშვილის ქუჩები მოასფალტდება 2 კილომეტრ სიგრძეზე; 1,5 კილომეტრზე ქალაქგარეთ გაყვანილ იქნება ელექტროხაზი ნათურებით; ცენტრალურ სკვერს გაუკეთდება არქიტექტურულად გაფორმებული კოლონადა; წყალსადენს ერთი კილომეტრის სიგრძეზე შეუცვლიან მილებს, რითაც წყლის დებიტი საკმაოდ გადიდდება. დიდი სამუშაოებია გათვალისწინებული საცხოვრებელი სახლების მშენებლობისა და მიმდინარე რემონტისათვის, სკოლების სათბობით მომარაგებისა და შეკეთებისათვის.

ვარხანი კეთილმოწყობილი სოფელი გახდა

ადიგენი. (საკ. კორ.). 6 წლის წინათ სოფელ ვარხანში დასახლდნენ მაიაკოვსკის რაიონის მთიანი ზონის მწირ ნიადაგზე მცხოვრები კოლმეურნეები. სახელმწიფოს დახმარებით და კოლმეურნეთა ენერგიული შრომით მოკლე ხანში ვარხანი კეთილმოწყობილი სოფელი გახდა. აშენდა სასოფლო საბჭოს, საავადმყოფოს, საშუალო სკოლის, სამკითხველოს, მაღაზიის შენობები.

კურორტ აბასთუმნისაკენ მიმავალი გზატკეცილის გაყოლებით ვაშლისა და მსხლის ბაღებში 155 კოლმეურნემ მშვენიერი ორსართულიანი ქვიტკირის სახლები ააგო. ყურადღებას იპყრობს ფენია დემეტრაძის, ალიოშა ლიპარიშვილის, დავით გორგაძის, შურა, ლევან, აგაბო, გიგუშა მინაძეების და მრავალი სხვა კოლმეურნის საცხოვრებელი სახლები, რომელთა უმრავლესობა 4-5 ოთახისაგან შედგება.

ვარხნელმა კოლმეურნეებმა ინდივიდუალური ბინათმშენებლობისათვის სახელმწიფოსაგან სესხად მიიღეს 1.530.000 მანეთი.

„კომუნისტის" სიგნალის შემდეგ

„მშრომელთა სიგნალებსა და საჩივრებს მეტი ყურადღება უნდა მივაქციოთ"

გაზეთ „კომუნისტის" მიმდინარე წლის 16 მარტის ნომერში ამ სათაურით დაიბეჭდა წერილი. როგორც საქართველოს კ. პ. (ბ) ხაშურის რაიკომის მდივანი ამხ. გრ. ფოფხაძე გვაცნობებს, წერილში მოყვანილი კრიტიკა სავსებით სწორია. აღნიშნული საკითხი განიხილა პარტიის რაიონული კომიტეტის ბიურომ.

იმის გამო, რომ მშრომელთა სიგნალებს და საჩივრებს დროულად არ იხილავდნენ და ავტორებს არ აძლევდნენ სათანადო პასუხს, სურამის სადაბო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. შ. მჭედლიშვილს რაიკომის ბიურომ გამოუცხადა საყვედური, ხოლო ხაშურის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის განყოფილებათა გამგეებს გ. თუთისანს, კუბლაშვილს და ხაშურის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. ვ. ლომიძეს მიუთითა.

რაიკომის ბიურომ დასახა საჭირო ღონისძიებანი არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

მშრომელთა დეპუტატების სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოს მეორე სესია

სტალინირი. (საკ. კორ.). შედგა სამხრეთ ოსეთის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს მეორე სესია. სესია გახსნა სამხრეთ ოსეთის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ დეპუტატმა ი. დ. კულუხოვმა.

სესიის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა დეპუტატი ა. ცხოვრებოვი, მდივნად — დეპუტატი ელ. ბუთა.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის 1951 წლის ბიუჯეტისა და 1950 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შესახებ მოხსენება გააკეთა სამხრეთ ოსეთის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილების გამგემ დეპუტატმა პ. ხარებოვმა, რომელმაც აღნიშნა:

სამხრეთ ოსეთის 1950 წლის ბიუჯეტი მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს სესიის მიერ დამტკიცებული იყო 59.049 ათასი მანეთის ოდენობით როგორც შემოსავლის, ისე გასავლის ნაწილში. ბიუჯეტი შესრულებულ იქნა შემოსავლის ნაწილში 61.519,2 ათასი მანეთის ოდენობით, ე. ი. 104,2 პროცენტით, ხოლო გასავლის ნაწილში — 60.953,8 ათასი მანეთის ოდენობით, ე. ი. 103,2 პროცენტით. ბიუჯეტის გადამეტებით შემოვიდა 2.160 ათასი მანეთი. ამის შედეგად ბიუჯეტის შემოსავალმა გასავალს გადაამეტა. ბიუჯეტის ძირითადი წყაროს — ბრუნვის გადასახადის დარგში შემოსავლის გეგმა შესრულებულ იქნა 113,6 პროცენტით.

შარშან საწარმო-დაწესებულებათა უმრავლესობამ საბიუჯეტო თანხები სწორად, მიზანშეწონილად გამოიყენა. მაგრამ ამასთან ერთად ცალკეული დაწესებულებები საბიუჯეტო თანხების ათვისებას საკმაო ყურადღებას არ აქცევენ. სახსრების ნაწილი აუთვისებელი დარჩათ ოლქის სახალხო განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებს.

— 1951 წელს, — ამბობს დეპუტატი პ. ხარებოვი, — პარტიამ და მთავრობამ გადიდებული ამოცანები დააყენეს სამხრეთ ოსეთის მშრომელთა წინაშე. მეურნეობაში არსებული რესურსების მაქსიმალური გამოყენების საფუძველზე მნიშვნელოვნად უნდა ამაღლდეს წარმოების დონე, გაუმჯობესდეს მოსახლეობის კეთილდღეობა. 1951 წლის ბიუჯეტი შემოსავლისა და გასავლის ნაწილში გათვალისწინებულია 59.169 ათასი მანეთის ოდენობით. ბიუჯეტიდან მნიშვნელოვანი თანხები მოხმარდება სტალინირის საქალაქო მეურნეობის შემდგომ განვითარებას.

სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისათვის ბიუჯეტის პროექტი ითვალისწინებს 49.489 ათას მანეთს. ეს ბიუჯეტის გასავლის ნაწილის 83,6 პროცენტს შეადგენს. 1951 წელს სახალხო განათლებისათვის ბიუჯეტით გათვალისწინებულია 31.871 ათასი მანეთი, ეს ერთიორად აღემატება ამავე ღონისძიებისათვის 1940 წელს გამოყოფილ თანხას.

დეპუტატ პ. ხარებოვის მოხსენების შემდეგ სესიამ მოისმინა სამხრეთ ოსეთის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ ი. თედიაშვილის თანამოხსენება. შემდეგ დაიწყო კამათი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს დეპუტატებმა დ. ვალიევმა, დ. არჩვაძემ, კ. ხაჩიროვმა, ს. ზერეკიძემ, ვ. კასრაძემ, გ. ბეგიაშვილმა, ნ. ბეკოევმა, ზ. ჯიოევმა, პ. თედეევმა, რ. ასაევმა, სამხრეთ ოსეთის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის განყოფილების გამგემ ამხ. დ. გაბარაევმა და საოლქო საბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილების გამგემ ამხ. მ. გაგლოშვილმა.

სესიამ ერთხმად დაამტკიცა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის 1951 წლის ბიუჯეტი და 1950 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში.

წერილი რედაქციის მიმართ

ჩემი შეხედულება ცხოველთა ეგრეთწოდებული ფსიქონერვული მოქმედების შესახებ, რაც დაწვრილებით იყო ჩამოყალიბებული 1947 წელს ბროშურაში „ნერვული და ფსიქონერვული მოქმედების ძირითადი ფორმების შესახებ", მკვეთრად გააკრიტიკა პრესამ და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიისა და სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის გაერთიანებულ სესიაზე 1950 წლის ივლისში დაგმობილ იქნა როგორც იდეალისტური. 1951 წლის აპრილში იგივე შეხედულება განხილულ იქნა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული აკადემიკოს ი. პ. პავლოვის ფიზიოლოგიური მოძღვრების პრობლემათა სამეცნიერო საბჭოს სესიაზე და აგრეთვე მიჩნეულ იქნა როგორც იდეალისტური.

პირველი კრიტიკული სტატიის შემდეგ გასული სამი წლის მანძილზე მე დიდი შრომა მოვახმარე ცხოველთა ქცევის შემდგომ ექსპერიმენტულ შესწავლას. ამავე დროს ჩემს თეორიულ დებულებებს ხელახლად ვაგებდი ერთი მხრივ კრიტიკის და მეორე მხრივ ახალი ექსპერიმენტული მასალის ანალიზის გავლენით.

ყოველივე ამის შედეგად აკადემიკოს პავლოვის ფიზიოლოგიური მოძღვრების პრობლემათა სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე გამოსვლისას მე ვაღიარე ცხოველთა ქცევის რთული ფორმების შეცნობისადმი ჩემი მეთოდოლოგიური მიდგომის და ფსიქონერვული მოქმედების შესახებ ჩემ მიერ განვითარებული შეხედულების მცდარობა.

მართლაც, ცხოველთა ფსიქიკის კონკრეტულ შინაარსზე შეუძლებელია ითქვას გარკვეული რამ. ამიტომ ცხოველთა ქცევის უმაღლესი ფორმების ასახსნელად ისეთი ფსიქოლოგიური ცნებების ხმარებას, როგორიცაა კონკრეტული წარმოდგენა, აუცილებლად უნდა გამოეწვია იდეალისტური ან დუალისტური კონცეფციები ყველა იმ შემთხვევაში, როცა არ იყო საკმარისი ფაქტიური მასალა ამომწურავი ფიზიოლოგიური ანალიზისათვის.

მეორე მხრივ, ჩემ მიერ ნავარაუდევი გაყოფა უმაღლესი ნერვული მოქმედებისა ფსიქონერვულ და პირობით-რეფლექტორულ მოქმედებად არსებითად არასწორია. ეს უწინარეს ყოვლისა იქიდან გამომდინარეობს, რომ უმაღლესი ხერხემლიანი ცხოველების პირობით-რეფლექტორული მოქმედება არ უნდა წარმოებდეს ფსიქიური გამოვლინების გარეშე, ვინაიდან იგი ქერქში მიმდინარეობს და მას იწვევენ შესაგრძნობი გამღიზიანებლები. როგორც სწორად შენიშნა აკადემიკოსმა ი. პ. პავლოვმა, პირობითი რეფლექსი ამავე დროს უმარტივესი ფსიქიური აქტია.

თვით ტერმინი „ფსიქონერვული მოქმედება" თითქოს მოწმობდა ასეთი კონცეფციის იდეალისტურ ხასიათს, ვინაიდან, ტერმინის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ამ მოქმედებაში ფსიქიკას პირველადი როლი უნდა შეესრულებინა, პრიმატი მას უნდა ჰქონოდა.

ზემოაღნიშნულმა მოსაზრებებმა ხელი ამაღებინა ფსიქოლოგიურ ცნებათა ხმარებაზე, აგრეთვე ქცევის ზოგიერთი რთული ფორმის ანალიზის დროს ჩემ მიერ დაშვებულ ფსიქოლოგიურ განმარტებაზე.

მართლაც, რაკი ფსიქიკურს საფუძვლად უდევს მატერიალური, ნერვული პროცესები და არ შეიძლება დარწმუნება იმაში, რომ ცხოველებს აქვთ ისეთი სუბიექტური განცდები, როგორიცაა გრძნობითი ხატი ან გარე სამყაროს წარმოდგენა, საჭირო არ არის მივმართოთ ფსიქოლოგიურ ცნებებს ცხოველთა ქცევის ახსნის დროს. ქცევის ამა თუ იმ აქტის წარმოშობის გასარკვევად საკმარისი იქნებოდა მატერიალური ნერვული პროცესების შესწავლა კვლევის ცნობილი საბუნებისმეტყველო-მეცნიერული მეთოდებით.

აკადემიკოსი ი. პ. პავლოვი სწორად მოიქცა, როცა თვითონაც დაანება თავი და თავის თანამშრომლებსაც აუკრძალა ესარგებლათ ფსიქოლოგიური ცნებებით პირობითი რეფლექსების გასაგებად. მან დაამტკიცა, რომ ეს რეფლექსები შეიძლება აიხსნას წმინდა ფიზიოლოგიური ცნებებით. ისე უნდა მოვიქცეთ ცხოველთა ქცევის რთული ფორმების მიმართაც. მით უმეტეს, რომ ამჟამად უკვე გვაქვს მრავალი ისეთი ფაქტი, რომლებიც შესაძლებლობას გვაძლევენ უფრო ღრმად ჩავწვდეთ ნერვულ მექანიზმებს, რომლებიც განაპირობებენ ცხოველთა ქცევის რთულ აქტებს, მათს მიზანშეწონილად მიმართულ მოძრაობას, მათს ორიენტაციას სივრცეში.

ცხოველთა ქცევის მიმართ ფსიქიკური ტერმინებისა და ფსიქოლოგიური განმარტებისადმი უარყოფითი დამოკიდებულებისას საჭირო აღარ არის გამოყოფილ იქნას განსაკუთრებული ნერვული კანონზომიერებანი, რომლებსაც მე ფსიქონერვული ვუწოდე, პირობით-რეფლექტორული მოქმედების კანონზომიერებათაგან განსხვავებით.

ცხოველთა ქცევის რთული ფორმების გაგება არ შეიძლება მივიჩნიოთ იმის აღიარებად, რომ ცხოველები მოკლებული არიან ფსიქიკას, ან რომ უსაფუძვლოა ვარაუდი, [illegible] კონკრეტული წარმოდგენები აქვთ.

ჩემი შეცდომა ის კი არ იყო, რომ მე დავუშვი, რომ ცხოველებს აქვთ შეგრძნებები, აღქმები და წარმოდგენები, არამედ ის, რომ ეს ცნებები ვამოვიყენე ერთი მხრივ ქცევის აქტების კლასიფიკაციისათვის, ხოლო მეორე მხრივ — მათი ახსნისათვის. ნერვული პროცესების ფიზიოლოგიური ექსპერიმენტული ანალიზი კი საკმაოდ არ წარმოებდა შესაბამისი ნერვული მექანიზმების დასადგენად. ამას უთუოდ უშლიდა ხელს არა მარტო სირთულე თვით შესასწავლი ქცევისა, არამედ ის გარემოებაც, რომ ნავარაუდევ ფსიქიკურ მხარეს ქცევის ასახსნელად ვიყენებდით.

როცა ცხოველთა ფსიქონერვულ მოქმედებაზე ვლაპარაკობდი, მე დავუშვი კიდევ შემდეგი შეცდომა: ცენტრალური ნერვული სისტემის ფილოგენეტური განვითარების განხილვისას ვივარაუდე, რომ ცენტრალური ნერვული სისტემის ფილოგენეტური განვითარების გარკვეულ სტადიებში თვისობრივი ნახტომები ხდებოდა. მე მხედველობაში მქონდა ნერვული მოქმედების თვისობრივი ცვლილებანი მისი განუწყვეტელი თანდათანობითი განვითარების შედეგად. ამაზე დაწვრილებით ლაპარაკობს თავის სტატიაში აკადემიკოსი გ. თ. ალექსანდროვი („ლიტერატურნაია გაზეტა", № 46, 1951).

მეორე შეცდომა დავუშვი, როცა გამოვთქვი ვარაუდი, რომ უმაღლეს უხერხემლოებსაც შეიძლება ჰქონდეთ წარმოდგენები, ე. ი. მივაწერე მათ ისეთი მაღალგანვითარებული ფსიქიკური თვისება, რომელიც უმაღლესი ხერხემლიანი ცხოველებისათვის დამახასიათებლად ვაღიარე. მხედველობაში არ მივიღე ის დიდი თვისობრივი განსხვავება, რომელიც ამ ცხოველთა შორის არსებობს ცენტრალური ნერვული სისტემის სტრუქტურის მხრივ.

შეცდომად მიმაჩნია აგრეთვე ტერმინ „სპონტანური აქტივობის" ხმარება. ამასთან მე მხედველობაში მქონდა ცენტრალური ნერვული სისტემის ავტომატური მოქმედება, რომელიც განპირობებულია შიდა გარემოს (სისხლის, ლიმფის) ქიმიურ ნივთიერებათა ზემოქმედებით პირდაპირ ცენტრალურ ნერვულ ელემენტებზე. ჩემს ნაბეჭდ ნაშრომებში მე ვაიგივებდი ტერმინებს სპონტანურსა და ავტომატურს. ნერვული ცენტრების ავტომატურ მოქმედებას აკადემიკოსი ი. პ. პავლოვიც აღიარებდა. მას მიაჩნდა, რომ საჭმლის ცენტრი, აგრეთვე ყველა სხვა ნერვული ცენტრი შეიძლება აგზნებულ იქნას სისხლის ქიმიური შემადგენლობით. ტერმინი „სპონტანური" კი სემანტიკურად იმას ნიშნავს, რომ პროცესი, რომლითაც მას აღვნიშნავთ, დამოკიდებული არ უნდა ყოფილიყო არავითარ გარეშე თუ შინაგან მიზეზზე. ამაში თავი იჩინა უცხოეთის ფიზიოლოგიური ლიტერატურიდან გადმოღებული ტერმინისადმი ჩემმა არაკრიტიკულმა დამოკიდებულებამ.

ზემონათქვამიდან გამომდინარეობს: მე რომ თანმიმდევრულად, მარქსისტული მეთოდოლოგიის გამოყენებით განმევითარებინა მეცნიერება უმაღლესი ნერვული მოქმედების შესახებ, აღნიშნულ შეცდომებს არ დავუშვებდი. უფრო მეტიც, არ დავუშვებდი მთელ რიგ არასწორ იდეალისტურ ფორმულირებებსაც, რომლებიც ჩემ მიერ გადმოცემული ფაქტიური მასალიდან არ გამომდინარეობენ. ასეთი, მეტად უხეში შეცდომაა შემდეგი დებულება, რომელიც ძალიან ხშირად მოჰყავთ ჩემს კრიტიკოსებს, რომ დაამტკიცონ ჩემი იდეალიზმი და ანტიპავლოვური მიმართულება უმაღლესი ნერვული მოქმედების შესახებ მოძღვრების დამუშავებაში: „აქედან გამომდინარეობს, რომ ტვინის ქერქის ფიზიოლოგია არა თუ ვერ შეცვლის ფსიქოლოგიას, არამედ ფსიქიკურ კანონზომიერებათა გაგების საფუძველიც ვერ გახდება. პირიქით ცდა — ჩავწვდეთ ფსიქიკურ მოვლენათა დინამიკას ფიზიოლოგიურ კანონზომიერებათა თვალსაზრისით, მუდამ განწირული იქნება წარუმატებლობისათვის" („ნერვული და ფსიქონერვული მოქმედების ძირითადი ფორმების შესახებ", გვ. 98, 1947). მუდამ მტკიცედ რომ მხსომებოდა დიალექტიკური მატერიალიზმის დებულებანი და მეხელმძღვანელა ამ დებულებებით, აღარ დავუშვებდი ყოველივე იმის ისეთ იდეალისტურ დამახინჯებას, რაც დაწერილი იყო ციტირებულ წიგნში. ამ ფორმულის თანახმად მე ფსიქოლოგია მოვწყვიტე ფიზიოლოგიას.

დიალექტიკური მატერიალიზმის თანმიმდევრულად გამოყენების საფუძველზე ჩვენ ყოველ ღონეს ვიხმართ, რომ ქცევის აქტების ჩვენმა კვლევამ ხელი შეუწყოს უმაღლესი ნერვული მოქმედების შესახებ პავლოვის ფიზიოლოგიური მოძღვრების შემდგომ განვითარებას.

აკადემიკოსი ი. ბერიტაშვილი

5/V 1951 წ.

წიგნები სოფლის მეურნეობაზე

საქართველოს ლ. ბერიას სახელობის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტმა გამოსცა შემდეგი ნაშრომები:

პროფესორი ს. ა. ქარუმიძე — „სოფლის მეურნეობის მავნებლებისა და ავადმყოფობათა წინააღმდეგ ბრძოლის ქიმიური მეთოდები". გვ. 510, ფასი ყდით 20 მან.

დოცენტი გ. ტალახაძე — „ნიადაგთმცოდნეობის პრაქტიკუმი." გვ. 196, ფასი 7 მან.

ა. ხ. კერესელიძე — „დეკორაციული მებაღეობა." გვ. 240, ფოტოებით 101, ფასი 25 მან.

ბ. ბ. შალამბერიძე და ქ. პ. კიზირია — „სუბტროპიკული ტექნიკური კულტურების ტექნოლოგია." გვ. 556, ფასი 24 მან.

გ. აბაშიძე — გეოდეზია. გვ. 422, ფასი 13 მან. 85 კაპ.

ᲝᲗᲮᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲝ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲔᲗᲐ ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲘ ᲗᲐᲗᲑᲘᲠᲘ

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ, 7 მაისი. (საქდესის სპეც. კორ.). დღეს ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების მოადგილეთა წინასწარი თათბირი, რომელიც მოწვეულია საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს დღის წესრიგის შესამუშავებლად, მუშაობას განაგრძობდა. თავმჯდომარეობდა საფრანგეთის წარმომადგენელი პაროდი.

უკანასკნელ სხდომებზე განსაკუთრებით მკაფიოდ დაისახა ორი ხაზი, რომლებსაც შეიძლება თვალი გავადევნოთ მთელი თათბირის მანძილზე, სახელდობრ: ურთიერთმისაღებ საფუძველზე შეთანხმების მიღწევის ხაზი, რომელსაც სსრ კავშირის დელეგაცია ახორციელებს, და დღის წესრიგის შესახებ შეთანხმების ჩაშლის ხაზი, რომელსაც ახორციელებენ ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის დელეგაციები.

ცდილობდა რა თავიდან აეცილებინა პასუხისმგებლობა მოადგილეთა თათბირზე შექმნილი ვითარებისათვის, ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა ჯესეპმა დღევანდელ სხდომაზე განაცხადა, თითქოს სსრ კავშირის დელეგაციას პასუხი არ გაუცია სამი სახელმწიფოს მიერ 2 მაისს შეტანილ წინადადებებზე.

სსრ კავშირის წარმომადგენელმა გრომიკომ გაბათილა ჯესეპის ეს მტკიცება და მოაგონა თათბირს, რომ სსრ კავშირის დელეგაციამ უკვე ცხადყო თავისი პოზიცია სამი სახელმწიფოს წინადადებათა მიმართ.

შემდეგ გამოვიდა დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელი დევისი. თავისი ამერიკელი პარტნიორის მსგავსად, იგი ცდილობდა დაეხლართა მდგომარეობა. მაგალითად, იგი ამტკიცებდა, რომ სამი დელეგაციის მიერ წარმოდგენილი დღის წესრიგის „A" ვარიანტი თითქოს აკმაყოფილებს საბჭოთა მოთხოვნას, რომ დღის წესრიგის პირველ პუნქტში მოხსენიებულ საკითხთა შორის პირველ ადგილზე დაისვას გერმანიის დემილიტარიზაციის საკითხი. ნამდვილად კი სამი დელეგაციის თანხმობა საბჭოთა ამ წინადადების დაკმაყოფილებაზე პირწმინდა ფიქციაა, რამდენადაც ისინი ამ თანხმობის პირობად აყენებენ მოთხოვნას, რომ საბჭოთა დელეგაციამ მიიღოს შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების საკითხის ის ფორმულირება, რომელიც დასავლეთის სახელმწიფოებმა წარმოადგინეს, ე. ი., სხვანაირად რომ ვთქვათ, სსრ კავშირის დელეგაცია დათანხმდეს იმაზე, რომ განხილვისაგან მოიხსნას ოთხი სახელმწიფოს შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირების უმნიშვნელოვანესი საკითხი. დევისმა ამ მიუღებელი ფორმულირების დასაცავად გაიმეორა თავისი ძველი, მოსაბეზრებელი, ყალბი არგუმენტები. მან კვლავ განაცხადა, რომ ოთხი სახელმწიფოს შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირების საკითხის განხილვის შესახებ საბჭოთა წინადადების მიღება იმისი მომასწავებელი იქნება, რომ „დასავლეთის სახელმწიფოებს შეუკრან ხელ-ფეხი, რათა არ მისცენ შესაძლებლობა მიიღონ ის ღონისძიებანი, რომლებიც მათ საჭიროდ მიაჩნიათ". ცდილობდა რა დასავლეთის სახელმწიფოთა ეს აგრესიული ღონისძიებანი წარმოედგინა როგორც „თავდაცვითი ღონისძიებანი", დევისმა გაიმეორა გაცვეთილი ცილისმწამებლური მტკიცება სსრ კავშირში შეიარაღების ზრდის შესახებ.

საფრანგეთის წარმომადგენელმა პაროდიმ, დაიცვა რა სამი დელეგაციის მიერ წარმოდგენილი ფორმულირება საკითხისა შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შესახებ, გაიმეორა ჯესეპის „საბუთები".

შემდეგ გამოვიდა სსრ კავშირის წარმომადგენელი გრომიკო.

— საბჭოთა დელეგაციამ, — თქვა მან, — უკვე ცხადყო თავისი პოზიცია სამი სახელმწიფოს წარმომადგენელთა უკანასკნელი წინადადებების მიმართ. ამიტომ მე დავჯერდები მხოლოდ ცალკეულ შენიშვნებს დღევანდელ სხდომაზე დევისისა და პაროდის მიერ გამოთქმული აზრების შესახებ. [illegible]

— ამ მნიშვნელოვან საკითხში ჩვენს შორის უთანხმოების არსზე, — განაგრძო გრომიკომ, — ჩვენ უკვე არაერთხელ ვილაპარაკეთ. მთელი საქმე ის არის, რომ სამი სახელმწიფოს წარმომადგენლები სწორედ იმას ესწრაფვიან, რომ და-

[illegible]

...კმაყოფილდნენ ამ ორი მნიშვნელოვანი საკითხის „მოხსენიებით", მაშინ როცა საბჭოთა დელეგაცია მოითხოვს, რომ ორივე ამ საკითხმა — გერმანიის დემილიტარიზაციისა და ოთხი სახელმწიფოს შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირების შესახებ — დაიკავოს შესაფერისი ადგილი დღის წესრიგში და ფორმულირებულ იქნას ისე, რომ მინისტრების საბჭოს წინაშე დაისვას სრულიად ნათელი და გარკვეული ამოცანა. ჩვენ ვემხრობით იმას, რომ გერმანიის დემილიტარიზაციის საკითხს დაეთმოს ისეთი ადგილი, რომლის ღირსიც იგია. ჩვენ იმის წინააღმდეგი ვართ, რომ ეს საკითხი უკანა პლანზე გადაიწიოს. ჩვენ იმას ვემხრობით, რომ მინისტრების საბჭომ განიხილოს სწორედ ოთხი სახელმწიფოს შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირების საკითხი. ჩვენ იმის წინააღმდეგი ვართ, რომ ეს საკითხი ჩაძირული იქნას სხვადასხვაგვარ ორაზროვან ფრაზეოლოგიაში, როგორც ამას სამი სახელმწიფოს წარმომადგენლები სხვადიან.

შეიძლება, განაგრძო გრომიკომ, კვლავ გვეთხრან, რომ სამი სახელმწიფოს წარმომადგენლები დღის წესრიგის პროექტის თავიანთ „A" ვარიანტში დათანხმდნენ გერმანიის დემილიტარიზაციის საკითხი პირველ ადგილზე დააყენონ. [illegible]

...ლი გეგმა". მინისტრების საბჭოს სესიაზე ამ საკითხის განხილვისას ბრიტანეთის მთავრობას არსებითად შეუძლია წარმოადგინოს მისი გადაწყვეტის როგორიც ნებავს გეგმა. ვინ უშლის მას გააკეთოს ეს? ვინ უშლის მას წარმოადგინოს თავისი გეგმა, რომელიც მას გონივრული, კარგი ჰგონია? უფლება გვაქვს მივიდეთ იმ დასკვნამდე, [illegible]

...დე, რომ დევისმა თავისი მტკიცება, საბჭოთა მთავრობას „შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირების გონივრული გეგმა არა აქვსო", როცა ჩვენ საერთოდ ასეთ გეგმებს არ განვიხილავთ, კვლავ იმისათვის მოიყვანა, რომ ეცადნა გამოეძებნა კიდევ ერთი საბაბი ოთხი სახელმწიფოს შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირების საკითხზე საბჭოთა წინადადების წინააღმდეგ გასალაშქრებლად. ყოველივე ეს იმას მოწმობს, რომ ჩვენი თათბირის მსვლელობაში სამი სახელმწიფოს წარმომადგენლებს შეიარაღების შემცირების შესახებ საბჭოთა წინადადების წინააღმდეგ ზედიზედ მოჰყავთ უსაფუძვლო მოსაზრებანი და ყოვლად სასაცილო არგუმენტები.

შეეხო რა დევისის განცხადებას, რომ სამხედრო ღონისძიებანი, რომლებსაც დიდი ბრიტანეთის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და საფრანგეთის მთავრობები დასავლეთ გერმანიაში, აგრეთვე შეიარაღების დარგში ახორციელებენ, თითქოს გამოწვეული იყოს „თავდაცვის" როლის მოსაზრებებით, გრომიკომ თქვა:

— საბჭოთა დელეგაციას არაერთხელ აღუნიშნავს ასეთ განცხადებათა დაუსაბუთებლობა. ნამდვილად კი იმ სამხედრო ღონისძიებებს, რომლებსაც სამი მთავრობა დასავლეთ გერმანიაში, [illegible]

...დრომ. როგორც უკვე განვაცხადეთ, ახლა დღის წესრიგზე შეთანხმება დამოკიდებულია ოთხი სახელმწიფოს შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირების საკითხისადმი ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობათა დამოკიდებულებაზე.

გრომიკოს განცხადების შემდეგ პაროდიმ წინადადება შეიტანა დაეხურათ სხდომა.

ᲙᲝᲠᲔᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ᲙᲝᲠᲔᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ-ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲐᲠᲛᲘᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲡᲐᲠᲓᲚᲝᲑᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲐ

ᲤᲮᲔᲜᲘᲐᲜᲘ, 7 მაისი. (საქდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის დღევანდელ ცნობაში ნათქვამია, რომ სახალხო არმიის ნაწილები ჩინელ მოხალისეთა რაზმებთან მჭიდრო თანამოქმედებით წარმატებით იგერიებენ ყველა ფრონტზე მოწინააღმდეგის კონტრიერიშებს და დიდ ზარალს აყენებენ მას ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ.

სახალხო არმიის ნაწილებმა აღმოსავლეთ სანაპიროზე დღეს ჩამოაგდეს მოწინააღმდეგის სამი თვითმფრინავი. ფხენიანის რაიონში სახალხო არმიის საზენიტო ნაწილებმა ჩამოაგდეს ორი თვითმფრინავი „ბ-29" და 5 მფრინავი ტყვედ წამოიყვანეს.

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ-ᲡᲐᲰᲐᲔᲠᲝ ᲫᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲫᲚᲘᲔᲠᲔᲑᲐ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲨᲘ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 7 მაისი. (საქდესი). გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის" ლონდონელი კორესპონდენტი უელსი, იუწყება რა ინგლისში მყოფი ამერიკის სამხედრო-საჰაერო ძალების გადიდების ზოგიერთ დეტალს, აღნიშნავს, რომ ამჟამად ინგლისში იმყოფება 20 ათასზე მეტი ამერიკელი — მფრინავები, აეროდრომთა მომსახურე პერსონალი, მექანიკოსები, აგრეთვე საზენიტო არტილერიის ჯარისკაცები. „აგებულია თვითმფრინავთა ასაფრენ-დასაშვები უდიდესი ზოლები მძიმე ბომბდამშენების მისაღებად, შექმნილია ბენზინისა და საცხე ზეთების მარაგი, დაგროვებულია სათადარიგო ნაწილები, ხოლო მფრინავებს, შტურმანებს, მსროლელებსა და აეროდრომთა მომსახურე პერსონალს გამალებით წვრთნიან".

ინგლისში ამჟამად მყოფ სამხედრო-საჰაერო ძალებში შედის: ბომბდამშენთა ერთი პოლკი, ავიაგამანადგურებელთა ერთი პოლკი, ბენზინის ჩასასხმელი თვითმფრინავები, რომლებსაც აქვთ ჰაერში საწვავის ჩასასხმელი მოწყობილობა, და მზვერავი ბომბდამშენები.

კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ ახლო ინგლისში საავიაციო ბაზებისათვის დამატებით ჩაჰყავთ ადამიანები და ჩააქვთ მოწყობილობა.

ᲡᲐᲒᲐᲤᲘᲪᲕᲝ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲐ ᲤᲠᲐᲜᲙᲘᲡᲢᲣᲚ ᲔᲡᲞᲐᲜᲔᲗᲨᲘ

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ, 7 მაისი. (საქდესი). ესპანეთის ალავის პროვინციაში გრძელდება საწარმოთა მუშების გაფიცვა.

გაზეთი „ლუმანიტე" იუწყება, რომ გაფიცული მუშები პროტესტს აცხადებენ სიძვირის წინააღმდეგ და მოითხოვენ გაფიცვის დღეების ანაზღაურებას.

ფრანკისტი ხელისუფალნი ცდილობდნენ დაეშინებინათ გაფიცულნი და შეეწყვიტათ გაფიცვა, მაგრამ ეს ცდა მარცხით დამთავრდა.

ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘ

ᲕᲔᲜᲐ, 7 მაისი. (საქდესი). მთავარმა საარჩევნო კომისიამ გამოაქვეყნა ავსტრიის პრეზიდენტის არჩევნების პირველი ტურის შედეგები.

მთელ ავსტრიაში არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 4.370.755 კაცმა. ნამდვილი ბიულეტენი აღმოჩნდა 4.298.576. ხმები განაწილდა შემდეგნაირად: გოტლიბ ფიალამ (მემარცხენეთა ბლოკი) მიიღო 220.012 ხმა (213.066), კერნერმა (ავსტრიის სოციალისტური პარტია)—1.682.768 (1.623.524), გლაისნერმა („ავსტრიის სახალხო პარტია") — 1.725.695 (1.846.581), ბრაიტნერმა („დამოუკიდებელთა კავშირი") — 662.559 (489.273), ჰაინიშ-მარხემ („ერგოკრატთა" ანარქისტული ჯგუფი)—2.131, უდემ (ლიბერალი კათოლიკე)—5.411. (ფრჩხილებში მოყვანილი ციფრები ნიშნავს იმ ხმების რაოდენობას, რაც შესაბამისმა პარტიებმა მიიღეს პარლამენტის 1949 წლის 9 ოქტომბრის არჩევნების დროს).

ამრიგად, არც ერთ კანდიდატს არ მიუღია აბსოლუტური უმრავლესობა, რასაც კანონი მოითხოვს პრეზიდენტის ასარჩევად. ავსტრიის პრეზიდენტს აირჩევენ კენჭისყრის მეორე ტურში, რომელიც გაიმართება არაუგვიანეს 35 დღისა პირველი ტურის შემდეგ.

ᲡᲐᲐᲕᲘᲐᲪᲘᲝ ᲙᲐᲢᲐᲡᲢᲠᲝᲤᲐ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲔᲠᲗᲔᲑᲣᲚ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲨᲘ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 6 მაისი. (საქდესი). პრესის ცნობებით, ალბუკერკის (ნიუ-მექსიკოს შტატი) მახლობლად მდებარე აეროდრომზე კატასტროფა განიცადა ამერიკის დიდმა ბომბდამშენმა „ბ-36". თვითმფრინავზე ხანძარი გაჩნდა. დაიღუპა 22 კაცი.

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: ზემოთ—მონაწილეთა პარადი; შუაში მ. კუტმანი ჭოკით ხტომის დროს; ნ. დუმბაძე, ლ. ხანაძე და ვ. ვაშაკიძე, რომლებმაც პირველი ადგილები დაიკავეს; ქვემოთ — ე. გოკიელი, რომელმაც პირველი ადგილი დაიკავა დაბრკოლებათა გადალახვით 80 მეტრზე რბენაში.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ ᲡᲐᲛᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲛᲐᲢᲩᲘ ᲛᲫᲚᲔᲝᲡᲜᲝᲑᲐᲨᲘ

დამთავრდა ამიერკავკასიის რესპუბლიკების — საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ნაკრები გუნდების ტრადიციული მატჩი მძლეოსნობაში. ამ რესპუბლიკების სპორტსმენთა ასეთი მასობრივი შეჯიბრება სამამულო ომის შემდეგ ხუთჯერ მოეწყო. აქედან ოთხჯერ გაიმარჯვეს საქართველოს სპორტსმენებმა, ხოლო ერთხელ (1947 წელს) აზერბაიჯანის სპორტსმენებმა. წელს ისინი მეექვსედ შეხვდნენ ერთმანეთს. ქართველმა სპორტსმენებმა საუკეთესო სპორტული წვრთნა გამოავლინეს და მეხუთეჯერ მოიპოვეს გამარჯვება.

შეჯიბრების მეორე დღეს პირად პირველობაზე სპორტულ სიარულში 10 კილომეტრზე გამარჯვებული გამოვიდა ი. პოპკოვი (აზერბაიჯანი). წინააღმდეგობათა გადალახვით 80 მეტრზე რბენაში ქალთა შორის გაიმარჯვა სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ე. გოკიელმა (საქართველო). 200 მეტრზე რბენაში პირველობა მოიპოვა ა. კლიშევიჩმა (სომხეთი). ადგილიდან გამორბენით სიგრძეზე გადახტომაში პირველი ადგილი დაიკავა ბ. მადათოვმა (აზერბაიჯანი), ხოლო მეორე ადგილზე გამოვიდა ს. ქავთარაძე (საქართველო). 200 მეტრზე რბენაში ვაჟთა შორის გაიმარჯვა ი. კონოვალოვმა (აზერბაიჯანი). 400 მეტრზე რბენაში ვაჟთა შორის პირველი ადგილი დაიკავა გ. მატვეევმა (აზერბაიჯანი). 1.500 მეტრზე რბენაში ვაჟთა შორის გამარჯვებული გამოვიდა საქართველოს ნაკრები გუნდის წარმომადგენელი ვ. ვაშაკიძე. მან მანძილი გაირბინა 4 წუთსა და 16,8 წამში. 800 მეტრზე რბენაში ქალთა შორის გაიმარჯვა ა. რეკუნოვამ (სომხეთი). ბადროს ტყორცნაში ვაჟთა შორის გაიმარჯვა ი. ილევმა (საქართველო). მან ბადრო ტყორცნა 41 მეტრსა და 75 სანტიმეტრზე.

ვაჟთა შორის 5.000 მეტრზე რბენაში გაიმარჯვა ი. უშაკოვმა (საქართველო). მან მანძილი დაფარა 15 წუთსა და 45,4 წამში. შუბის ტყორცნაში გამარჯვებული გამოვიდა სომხეთის წარმომადგენელი ი. სიტნიკოვი. სიმაღლეზე ხტომაში ქალთა შორის გაიმარჯვა ს. როზანოვამ (საქართველო). სიმაღლეზე ჭოკით ხტომაში პირველი ადგილი დაიკავა მ. კუტმანმა (საქართველო). იგი ჭოკით გადახტა 4 მეტრ სიმაღლეზე. ურნის ტყორცნაში გაიმარჯვა ს. ნენაშევმა (აზერბაიჯანი). შუბის ტყორცნაში ქალთა შორის პირველ ადგილზე გამოვიდა გ. ბრიტვინა (საქართველო).

შეჯიბრებაში სამივე რესპუბლიკიდან მონაწილეობა მიიღო 130 საუკეთესო სპორტსმენმა. ორი დღის დაძაბული ბრძოლის შემდეგ პირველი ადგილი მოიპოვა საქართველოს ნაკრებმა გუნდმა, რომელმაც მოაგროვა 291,5 ქულა. მეორე ადგილზე გამოვიდა აზერბაიჯანის ნაკრები გუნდი (200,0 ქულა), ხოლო მესამე ადგილი 180,0 ქულით დაიკავა სომხეთის კოლექტივმა.

შეჯიბრებას სჯიდა საკავშირო კატეგორიის მსაჯი ამხ. ლ. გიორგაძე.

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

გუშინ, 8 მაისს ლენინგრადში სსრ კავშირის 1951 წლის პირველობის გათამაშების ლიდერი თბილისის „დინამო" მორიგ მატჩში შეხვდა ადგილობრივ „ზენიტის" გუნდს.

დაძაბული ბრძოლის შემდეგ შეხვედრა დამთავრდა თბილისის „დინამოს" გუნდის გამარჯვებით, ანგარიშით — 2:1.

ამრიგად, თბილისის „დინამოს" გუნდს 7 ჩატარებული შეხვედრის 14 შესაძლებლიდან მოგროვილი აქვს 11 ქულა.

ამავე დღეს მოსკოვში ერთმანეთს შეხვდნენ ჩვენი ქვეყნის გასული წლის ჩემპიონი მოსკოვის „ცდსა" და რიგის „დაუგავა". მატჩი დამთავრდა ფრედ — 1:1.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲒᲔᲝᲒᲠᲐᲤᲘᲣᲚ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐᲨᲘ

11 მაისს, საღამოს 8 საათზე, საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების საჯარო სხდომაზე (ცეცხოველის ქ. № 11) მოხსენებებს წაიკითხავენ: **დ. უკლება** — „სახალხო დემოკრატიული ალბანეთი", **ნ. ჯავახიშვილი-კომახიძე** — „სახალხო დემოკრატიულ ალბანეთში მოგზაურობის შთაბეჭდილებანი".

მოხსენებების შემდეგ ნაჩვენები იქნება კინოფილმი — „დემოკრატიული ალბანეთი".

პასუხისმგებელი რედაქტორი
Ბ. ᲜᲐᲜᲘᲢᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲐᲓᲘᲝᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲪᲔᲛᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ

(რადიოსადგურებით 1571 და 59,52 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით)

10 ᲛᲐᲘᲡᲡ

6.45 — შოპენის საფორტეპიანო ნაწარმოებები. 9.20 — ქართული ხალხური სიმღერები. 18.10 — კამერული მუსიკის კონცერტი. 18.30 — გადაცემა მოსწავლეთათვის. 19.15—სიმფონიური მუსიკის კონცერტი. 20.00 — ბოროდინის ოპერა „თავადი იგორი". პირველ ანტრაქტში საუბარი: ნაციონალური შემოსავლის ზრდა საბჭოთა კავშირში. მეორე ანტრაქტში: სალტიკოვ-შჩედრინის მოთხრობა: „ლიბერალი". მესამე ანტრაქტში: უკანასკნელი ცნობები. 24.00 — შტრაუსის და ვალდტეიფელის ვალსები.

ᲓᲦᲔᲡ ᲙᲘᲜᲝᲔᲑᲨᲘ

რუსთაველის სახელობის — „ჩეხოსლოვაკური ფილმების ფესტივალი"; **„ოქტომბერი"** — „პირველი სტარტი"; **„ისანი"** — „ჩეხოსლოვაკური ფილმების ფესტივალი"; **„სპარტაკი"** — „პირველი სტარტი"; **„თბილისი"** — „მშვიდობიან დღეებში"; **„ამირანი"** (საზამთრო დარბაზი) — „ჩეხოსლოვაკური ფილმების ფესტივალი", (საზაფხულო დარბაზი) — „ტაბორი და ზუბრა"; **„კომკავშირელი"** (საზაფხულო დარბაზი)—„პირველი სტარტი"; **26 კომისრის სახელობის** (საზამთრო დარბაზი) — „პირველი სტარტი" (I დარბაზი), „გამანადგურებელნი" (II დარბაზი), (საზაფხულო დარბაზი) — „გაზაფხული"; **კიროვის სახელობის** — „პირველი სტარტი"; **„კოლხიდა"** (საზაფხულო დარბაზი) — „მშვიდობიან დღეებში"; **„დიდუბე"** (საზაფხულო დარბაზი) — „მუსორგსკი".

ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲗᲐ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲔᲑᲝ!

დადევით სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნებაყოფლობითი დაზღვევის ხელშეკრულებები!

სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნებაყოფლობითი დაზღვევა თითეულ კოლმეურნეობას უზრუნველყოფს სტიქიური უბედურებით ზარალის მიყენების შემთხვევაში.

სახდაზღვევა ანაზღაურებს ზარალს სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაღუპვისას, რაც გამოწვეული იქნება სეტყვით, თქეშით, ქარიშხლით, მოსავლის აღებამდე ცეცხლით, ჩალპობით, მოყინვით, ჩახურებით, დაზვირით და წყალდიდობით, ხოლო ცალკეული სპეციალური და ტექნიკური კულტურების დაზღვევისას გვალვითაც.

დაზღვევის დასადებად მიმართეთ სახდაზღვევის ინსპექციას.

სახელმწიფო დაზღვევის სამმართველო საქართველოს სს რესპუბლიკაში.

ᲓᲦᲔᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲔᲑᲨᲘ

ოპერისა და ბალეტის — „ფაუსტი" და „ვალპურგის ღამე" (მე-4 აბ. ა. კოვალიოვის მონაწილეობით); **რუსთაველის სახელობის** — „უიაღო მომჭედლისათვის"; **მარჯანიშვილის სახელობის** — „მარინე"; **გრიბოედოვის სახელობის** — „უმზითვო" (23-ე და 24-ე აბ.); **მუსიკალური კომედიის** — „შეხვედრა აგარაკზე"; **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — „მირანგულა" (79-ე აბ. 7 საათზე); **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — „კომბლე" (164-ე აბ. 5 საათზე); **ხანკულტურის თეატრი** — „ჩემი სილამაზე".

ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲝᲠᲓᲔᲜᲝᲡᲐᲜᲘ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲗᲔᲐᲢᲠᲘ

შაბათს, 12 მაისს

რესპუბლიკის სახალხო არტისტის
მიხეილ სერაფიონის-ძე ჩიხლაძის
ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗᲘ ᲡᲐᲦᲐᲛᲝ

ს. შანშიაშვილი
„ᲮᲔᲕᲘᲡᲑᲔᲠᲘ ᲒᲝᲩᲐ"

დრამა 3 მოქ. 8 სურ.

დასაწყისი საღამოს 8 საათსა და 30 წუთზე.

ბილეთები იყიდება თეატრის სალაროში.

მოქალაქე დავით ალექსანდრეს-ძე გაბაშვილმა, მცხოვრებმა თარხნიშვილის ქ. № 11, აღძრა საქმე ბელინსკის ქ. № 2-ში მცხოვრებ მოქალაქე ეთერ სერგოს ასულ კანდელაკთან განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს ორჯონიკიძის რაიონის პირველი უბნის სახალხო სასამართლო.

მოქალაქე ლილი მირიანის ასულმა ხირაძემ, მცხოვრებმა საზოგადოების ქ. № 3, აღძრა საქმე ბელინსკის ქ. № 23 მცხოვრებ მოქალაქე ვახტანგ იაკობის-ძე ლალანიძესთან განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის ორჯონიკიძის რაიონის I უბნის სახალხო სასამართლო.

მ. მაღრაძე, გ. ცქიტიშვილი, გ. ლუარსაბოვა, გ. ქორქიკაშვილი, ნ. ქვანია, ი. ჩოჩია, ი. სხირტლაძე, ვ. კობახიძე თანაგრძნობას უცხადებენ თ. ნ. ქელიძეს მისი მამის **ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე ქელიძის** გარდაცვალების გამო.

[illegible]

ვ. სოხაძე, ლ. კობიაშვილი, გ. დევიძე, შ. გაგოშიძე, დ. ბაკურაძე, გ. ალავიძე, მ. კვაჭაძე, ა. ბუჩუკური, დ. ჭანიშვილი, პ. მახარაშვილი, ვ. თევზაძე, გ. მგალობლიშვილი, გ. მირიანაშვილი, გ. ნაცვლიშვილი, ვ. კრუგლოვა თანაგრძნობას უცხადებენ პ. ქელიძეს მისი მამის **ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე ქელიძის** გარდაცვალების გამო.

მეუღლე ვერა, შვილები მარგო, ქეთო, თინა, ია, ბაბული, სიძე ილო, შვილიშვილები ნოდარ, დავით ჯიბლაძეები იუწყებიან, რომ 12-V, სამტრედიაში დანიშნულია **გერასიმე დავითის-ძე ნაცვლიშვილის** პანაშვიდი.

ბ. ლელიძე, გ. ბასილაშვილი, ვ. შარიქაძე, გ. ჯობთაბერიძე, ვ. ნინოშვილი, ა. კორშია, შ. შელია, შ. შენგელია, თ. ეგაძე, ა. ჩობანოვა, ზ. დურიცინა თანაგრძნობას უცხადებენ თ. ნ. ქელიძეს მისი მამის **ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე ქელიძის** გარდაცვალების გამო.

თბილისის ქალთა 24-ე საშუალო სკოლის ადმინისტრაცია, პედკოლექტივი და ტექპერსონალი თანაგრძნობას უცხადებენ მასწავლებელ ა. ნაკაიძეს მისი მამის **ამბაკო ნაკაიძის** გარდაცვალების გამო.

ლიდაშვილები ოლიმპი, დავით, თამარ, ნუნუ გელოვანები ოჯახებით იუწყებიან **ნადია პანტელეიმონის ასულ ბაქრაძე-ჯაფარიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 9-V, 8 ს. გამოსვენება 10-V, 6 ს. პლეხანოვის 184.

რ. აბობაძე, ნ. ბაქრაძე, ლ. გარსიაშვილი, ა. გელაშვილი, კ. ესაიაშვილი, ე. თაბუკაშვილი, ბ. კარტოზია, ნ. კიკვაძე, კ. სანაია, მ. პელიძე, ო. ჯულელი თანაგრძნობას უცხადებენ ვ. ცხომელიძეს მისი მამის **სიმონ ივლიანეს-ძე ცხომელიძის** გარდაცვალების გამო.

[illegible]

დები ნ. ბახტაძე, ს. გურულიშვილი, ძმა ვლადიმერ, რძალი ლიდა მოსეშვილები, დისწულები ელენა, პავლე, ქეთო, თინა, ლულუ, ვლადიმერ, სიძეები ლ. ყურაშვილი, ა. კოკაია იუწყებიან **გიორგი სიმონის-ძე მოსეშვილის** გარდაცვალებას.

გიგა და არმენაკ აივაზოვები ოჯახებით იუწყებიან რძლის **მარიამ სერგოს ასულ აივაზოვას** გარდაცვალებას.

გ. გოცირიძე, ს. სიხარულიძე, ს. საიკოვი, შ. დავითულიანი, მ. ლამბაშიძე, შ. ბურდილაძე, ნ. სულხანიშვილი, დ. აბაშიძე, ს. ოსიპოვი, ა. კიდიროვი თანაგრძნობას უცხადებენ ა. ყალიჩავას მისი დედის **ოლღა ყალიჩავას** გარდაცვალების გამო.

შვილი ლილი, სიძე ვახტანგ, შვილიშვილი მანანა ხეთისიაშვილები იუწყებიან **აპოლონ ლუკას-ძე დუმბაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 9-V, 8 ს. გამოსვენება 10-V, 6 ს. ფურცელაძის, 12.

შვილი გივი, ძმები ელიზბარ, ზიძინა, დები ელენე, დარეჯან, ბარბალე ლამბაშიძეები, რძალი ნ. ანდღულაძე, სიძე ვ. ნინიკაშვილი იუწყებიან **ლევან იასონის-ძე ლამბაშიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 9-V, 8 ს. გამოსვენება 10-V, 5½ ს. ჯავახიშვილის ჩიხი, 7.

შვილები დავით, ნინო, ქერეჭაშვილები, რძალი თამარ, სიძე ილია სესიაშვილი და შვილიშვილები იუწყებიან **მაგდან პავლეს ასულ ქერეჭაშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 10-V, 5 ს. გორში, კარლ მარქსის, 25.

თბილისის 44-ე ქალთა საშუალო სკოლა იუწყება ამავე სკოლის მასწავლებლის **ნადია პანტელეიმონის ასულ ბაქრაძე-ჯაფარიძის** გარდაცვალებას.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88, [illegible] ცხოვრების — 3-81-84, სასოფლო-სამეურნეოსი — 3-57-61, საბჭოთა მშენებლობის, კულტურისა და კოოპერაციისა და ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელის — 3-80-83, სამრეწველო სატრანსპორტოსი და ინფორმაციის — 3-80-84, [illegible] რიგისა და გამომშვების — 3-81-63, გამომცემლობისა — 3-51-81, სტამბის დირექტორის — 3-77-70

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის, ქ. № 14.

უე 02751